პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1934 წ. ოქტომბრის 18. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო ფასი 30 კაპ. № 20

იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, პაოლო იაშვილის, ალიო მაშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, ბესო ჟღენტის, პლატონ ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის და პანტელეიმონ ჩხიკვაძის რედაქტორობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბედულად და სრული ხმით

თხილამურებით

მაყვალა მრევლიშვილი

მარგალიტები ცრემლად უსხედან
ახლად ფეხადგმულ იანვრის დილას,
ტაროსმა სძლია მწარე სუსხით და
ფიფქი მუხლამდი გადააფთილა.
მწყურვალ ჩიტს, საწყალს ფრთა დაეშალა
ვერხვით დასწვდა გაყინულ ღელეს.
და ისევ ათოვს მთვლემარე შარას,
თხილამურებმა რომ გადაქელეს;
აი, მკვრივ თასმებს ფეხზე ვიბანდავთ,
სხეულმა შოლტად გაისრიალა,
მუხლი მოლურჯო ღარებს მიჰფანტავს
აბრეშუმივით რბილი შრიალით.
გახარებული მოგვყვება ბალღი,
გვკილავს მოხუცის უმძრახი თვალი, —
არ ეჭაშნიკა ქედმოხრილს, დაღლილს
„მოცლილთა“ ხროვა „უქმად“ მავალი.
— რას იზამ ბაბუ!
ჩვეულება ვერ დაგვაპურებს,
შენს ქალმან-წინდას
თოვლში ლბობა ალბათ მოსწყინდა,
ვიცი, შენც მალე ამჯობინებ ამ თხილამურებს,
დაიკარ ფეხზე და
ჰაიდა
საითაც გინდა!
შრომას ვეფხვივით დაჭიდული ჩვენი ბიჭები
ჯომარდ ბიჯებით
მზიან ამინდს აქ სწოვენ ძალას,
მხედრული წაფვით ნამქერს ვაპობთ და გავირჯებით
ლხენის მარაგი არ დაიცალა...
ყაჭივით რბილად გაჭრილი თოვლი
უბეს მოლურჯო ხნულად აღებდა,
ბინდი დაგვეცა მთა-ბარ შემოვლილთ
თეთრად დაზვინულ ფიჭვის თაღებთან;
მარგალიტები ცრემლად უსხედან
ბაკურიანში შემოსულ ღამეს,
მუხლამდე თოვლმა, მწარე სუსხებმა
მდუმარე ხეებს ხმა შეუხამეს, —
მატარებელის გარბენილ ჩრდილებს
დინჯი ფერხულით აწვდიან თათებს
და უამბობენ ზამთრის ადათებს
იღლიის ძირში შემალულ შვილებს.



ჩვენ ვართ ძლიერი, ჯანსაღი გრძნობეგის თაობა

ალ. კოსარევი

ჩვენმა ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვანებით: ტიპებმა, გმირებმა უნდა ასახონ ჩვენი ყოველდღიურ გამარჯვებათა მდიდარი პრაქტიკა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამოგონილ, ოჩაფეხაზე შემდგარ გმირების.

ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოჩნდენ თანამედროვეობის გმირები. თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ზეიმი ნაადრევია. სრულიადაც არ არის ყველაფერი რიგზე, გმირის აღწერაში შეიქმნა შტამპი, შაბლონი, გმირებს ხატავენ შაბლონურად და კინაღამ პიროვნების მოწმობის დართვით იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად დამკვრელია.

არსებობს უბრალო გამომუშავებული რეცეპტები. იღებენ ქარხანას, მეტნაწილად გიგანტს, გამონახავენ დამკვრელს, სას ურველია ორდენიანი. ნაწარმოები გამოიყურება ასე: ჯერ გმირის ცოტაოდენი ბიოგრაფია, შემდეგ რამდენიმე გვერდი ეთმობა აღტაცებას შესანიშნავი მანქანების გამო, რომელთა ახლოს შრომობს დამკვრელი, შემდეგ მიდის საწარმოო პროცესის შესახებ პოპულარული სახელმძღვანელო. გადმოცემა ხვა სიტყვებით. შემდეგ—გმირის დამკვრელური შრომით გამოწვეული აღტაცება. ზოგჯერ ამას ემატება მარქსის, ლენინის და სტალინის წიგნების კატალოგი გმირის საწიგნეზე. და ყველაფერი თავდება მომხიბლველი სურათით: მაგიდაზე გადაშლილია წიგნი „ლენინიზმის საკითხები“. ეს იმას ნიშნავს, რომ გმირი ჩქარობდა სამუშაოზე წასვლას და ვერ მოასწრო ბოლომდე წაკითხვა. ჰკითხულობ ასეთ წიგნს და რჩები უკმაყოფილო, გამოდის ხატისებური გმირები, არა ისეთები, როგორიც არიან ჩვენ სინამდვილეში, სუზდალელი მეხატენი უფრო ცუდათ არ ხატავდენ. ნუთუ ჩვენი „გეროიკა“ ასე ღარიბია, ასე შეზღუდული და ერთფეროვანი? არა! ათასჯერ არა! არაფერი ამის მსგავსი!

ნუთუ ჩვენს გმირს საწარმოო შრომის გარდა არაფერი არ აქვს. არა. აქვს! ჯერ ერთი, ჩვენი შრომა ზღაპრულად ლამაზია, და არა ისეთი, როგორც თქვენ სწერთ მის შესახებ.

ჩვენ—ძლევამოსილ პროლეტარიატის ახალთაობას—გვიყვარს მუშაობა, ვწვით სამუშაოზე, ჩვენი შრომა არის შემოქმედება, შემოქმედებითი აქტი. ამიტომ ჩვენ ვშრომობთ როგორც დამკვრელები—ყველაფერი ეს უდაოა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გმირობის საწარმოო მაჩვენებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. მაგრამ ჩვენი ცხოვრება გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ზოგიერთს ეჩვენება.

ჩვენ გვაქვს ლამაზი დასვენება. ჩვენში არის კოლოსალური მისწრაფება ხელოვნებისადმი, მუსიკისადმი, ჩვენ გვაქვს გართობის აუცილებელი მოთხოვნილება. ჩვენ გვიყვარს გაცილებით უფრო ძლიერად, უფრო ლამაზად, ვიდრე კაპიტალიზმის დროს მცხოვრებ თაობათ. არავითარი შედარება არ შეიძლება აქ. ჩვენ ვართ ძლიერი, ჯანსაღი გრძნობების თაობა.

ჩვენ გვაქვს ლამაზი აწმყო. ჩვენ გვაქვს ლამაზი ყოფა-ცხოვრება. ჩვენ გვყავს ძალიან ლამაზი, ჭკვიანი, ენერგიული და საინტერესო ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ჩვენ გვიყვარს, რომლებითაც გატაცებული ვართ. ჩვენ გვყავს ისეთი ბავშვები, როგორიც მსოფლიოში არ მოიძებნება არსად. ჩვენს ყოფა-ცხოვრებას საფუძვლად უდევს ისეთი პრინციპები, რომელთა არსებობას უტოპიურ სოციალიზმის წარმომადგენლებიც კი ვერ იფიქრებდენ. მე ვლაპარაკობ იმ პრინციპებზე, რომლებზედაც შენდება პირადი ურთიერთობა სოციალიზმის მშენებლებს შორის.

ჩვენი თაობა საინტერესოა არა მარტო თავისი ცხოვრების ინტიმური მხარეებით, რომლებიც აყავთ უმაღლეს ხარისხში, რასაც ხშირად შეხვდებით ბურჟუაზიულ კლასიკურ ლიტერატურაში. იგი საინტერესოა თავისი მჩქეფარე კაშკაშა ცხოვრებით, ამ სიტყვის საღი მნიშვნელობით, თავისი დინამიკურობით, თავისი სულისა და ნებისყოფის სიმტკიცით, თავისი უსაზღვრო ერთგულებით ლენინ-სტალინის საქმისადმი, სოციალიზმის საქმისადმი.

მაყვალა მრევლიშვილი

მხატვარ მრევლიშვილის ქალიშვილი, უმაღლესი ლიტერატურული ცოდნით (ტფილისის უნივერსიტეტი). დიდ ლიტერატურულ პრესაში იბეჭდება პირველად.

სწავლა და კიდევ სწავლა

ლეო ჟიაჩელი

სანამ საბჭოთა მწერლების კავშირს დაეკისრებოდა ახალგაზრდა ლიტ. კადრების ხელმძღვანელობა, ცალკეულმა ჟურნალებმა და გაზეთებმა — მეტწილად კომკავშირის ხაზით — საყურადღებო მუშაობა ჩაატარეს ახალგაზრდა მწერლების გამოჩინებისათვის. ამან თვალსაჩინო ნაყოფიც გამოიღო.

ხელისშეწყობა დიდმნიშვნელოვანი მომენტია ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში.

აქ ძალაუნებურად აზრად ერთი ანალოგია მომდის: ხომ აუცილებელია, რომ ბავშს ფეხის ადგმაში ეხმარებიან. ხოლო ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თუ არ დაეხმარენ, ბავში სამუდამოდ ფეხაუდგმელი დარჩება.

ეს ანალოგია მარტოოდენ გარეგნულ მსგავსებას როდი შეიცავს! ხელისშეწყობა ფეხს აადგმევინებს ბავშს იმიტომ, რომ ის ბუნებით არის დაჯილდოვებული ფეხის ადგმის ნიჭით. დამწყებ ავტორსაც ხელისშეწყობა ამ შემთხვევაში უადვილებს მწერლად გახდომას, თუ მას სათანადო თანდაყოლილი ნიჭი აქვს.

წელიწადზე მეტია, რაც მე ახალგაზრდა ლიტერატურულ კადრებში ვმუშაობ. რამდენიმე ასეულმა სახელმა და სახემ გაიარა ჩემს წინაშე. რამდენად შემეძლო დაკვირვებით გავიცანი, წავიკითხე, სათითაოდ ყველას ვესაუბრე. საქმე მეტად მძიმე და პასუხსაგები გამოდგა. ალბათ, უამრავი შეცდომაც მქონდა.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ რამდენად შესწევს ამა თუ იმ ავტორს წერის ნიჭი, ე. ი. აქვს თუ არა მხატვრის თვალი (საგნებისა და მოვლენების ღრმა და სწორი ნახვა), მოცემულია თუ არა მასში დანახულის განზოგადების უნარის ჩანასახი (აზრის სინთეზური გაქანება), თავისებური თქმის შესაძლებლობა (სტილის ინდივიდუალობა), დაკვირვების მარაგი (ცოდნა ფართოდ გაგებული) და სხვადასხვა.

ორასამდე ავტორში მე მხოლოდ ათიოდე შევარჩიე წლის განმავლობაში. ისიც პირობით: მოსალოდნელი იყო, რომ ეს რიცხვიც განახევრდებოდა. მგონია, ასეც მოხდა წლის ბოლოში, და შერჩენილი ნახევარიც მეორე წლის ბოლოს თუ რას მოგვცემს, ესეც გამოურკვეველი რჩება.

ერთი გარემოებაც ანგარიშგასაწევია: შეიძლება მწერალი იქ აღმოჩნდეს, სადაც არ მოელი, ან სადაც არ გიძებნია. გასაკვირველი აქ არაფერია, რადგანაც კაცობრიობის ურთულესი კოლექტივის უაღრესად შინაგანი განვითარების პროცესები განსაზღვრავენ მწერლის მოვლინებას, და ჩვენი თვალი ხშირად მოკლებულია საშუალებას, რომ ამ პროცესების კლაკნილები განსჭვრიტოს მთელი ისტორიის მანძილზე.

ახალგაზრდა ლიტერატურულ კადრებთან მუშაობა იმდენადვე რთული საქმეა, რამდენადაც საოუთი და ფაქიზი.

არსებითად ამ წლის განმავლობაში მწერალთა კავშირს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს ბევრი არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ. გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა. სჯობია, ეს გულახდილად ვთქვათ. მთელი წელიწადი უფრო ცდის პერიოდი იყო საქმის ორგანიზაციულად მოწყობისა, მეთოდის მიგნებისა და სხვ. გამოირკვა, რომ სალიტ-საკონსულტაციო კაბინეტის არსებობა გამომცემლობათა და რედაქციებისაგან მოწყვეტილად მიზანშეწონილი არაა. ახალგაზრდა მწერლების შერჩეული პროდუქციის გამომზეურებას, მკითხველების ფართო მასების წინაშე არა ეშველარა, თუ მხედველობაში ერთ ორ გამონაკლისს არ მივიღებთ. ამ მხრივ უფრო მეტი ნაყოფი უნდა გამოიღოს დამწყებ მწერლებთან მუშაობის ორგანიზაციის ახალმა ფორმამ. მწერალთა კავშირის სამდივნოს ახალი დადგენილებით მთელი საკონსულტაციო მუშაობა ჩვენი სალიტერატურო ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებშია გადატანილი.

სწავლის საკითხს მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო. ამ სფეროში ჩვენი მუშაობა უფრო დიდად მოისუსტებს.

ეს მარტივი ჭეშმარიტება ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შეგნებული. უდავოა: უსწავლელი, გონება-გაუხსნელი კაცი ლიტერატურაში ვერაფერს შექმნის. თავის დროს შესაფერისად განუვითარებელი მწერალი ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს.

კონსულტაცია და სხვა ამნაირი ღონისძიებანი ჩვენ მეორე რიგში უნდა დავაყენოთ, როცა ასეთ პასუხსაგებ მომზადებაზე ვლაპარაკობთ. სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა, აი რა არის პირველი რიგის საკითხი, — სულ ერთია — სპეციალური იქნება ეს სწავლა, თუ საერთო.

პოეზიის პირველი დილა

დავით გაჩეჩილაძე

პოეზიის ალიონთან
შენ ხომ ბავში მიხველი.
შენ არ გიყვარს ძველი მოთქმა,
შენ სხვაგვარად იმღერი.
ის არა ბავს — ტყეში ტბასთან
ამღერებულ იადონს.
გზადაბნეულ ნუკრის განცდას,
ღამეს უგანთიადოს,
ჩაგუბებულ მთების ოხვრას,
ქარით შემოდგომისა,
სად ღრუბელი როგორც ბოღმა
ცას დუმილით მოიცავს.
ეგ რიჟრაჟს ულურტულია,
ალმაცალ მზის ბუნება
და შენი ხმა გზას ბურანს
შუქათ ესანთურება.

ჩვენ სხვანაირ ბედზე ვიშვით,
სხვაგვარ გულის ფრიალით
პოეზიის ახალ წიგნში
შევხვდით ლექსის წკრიალით;
გაზაფხულის პირველ გვერდზე
ღღეს ცისფერი დილაა,
სად ათასგვარ ჰიმნებს ვეძებთ
და მერცხლების ბინაა.
ვიმღერებთ და ვიხალისებთ
ზღვიდან განთიადამდე,
იკაშკაშეთ ვარსკვლავებო,
ცავ ციმციმი გადაგვდე.

ერთ-სიტყვაში ჩავტევთ მზესა,
მეორეში ზღვა იყოს,
და ღრუბელი — როგორც კვნესა
შორს გრიგალმა წაიღოს;
რომ შევიძლოთ მზიურ ლექსით
ძველი ქვეყნის გამიჯვნა,
ცეცხლი, ცეცხლი, კიდევ ცეცხლი
პოეზიის გარიჟრაჟს;
მეის ჟუხილათ წამოვიდეთ,
გვწამდეს ლექსის ხელობა —
დე, დავიპურათ დროა ვიდრე,
სიტყვით სნაიპერობა.

ყოფილ გაზეთულს

მარიკა მიქელაძე

ალბათ იყავი ფაქიზი გოგო,
თვალმიამიტი ხარ თითქოს ახლაც,
მხრებს კულულების გიშვენებს ოქრო
და უმწვერვალეს ქუსლებზე დგახარ.

ახალ გაზაფხულს, წვიმებით ნაბანს
შენ მაშინ ჰგავდი ბავშურ სინაზით.
ტანს უხდებოდა უბრალო კაბაც,
იყავ ციმციმა და მოცინარი.

იქნებ უჯრედშიც იყავი სადმე,
სად მომავალის სიხარულს თხზავენ,
მებრძოლ ვაჟებთან გიყვარდა საქმე
და გამარჯვების უძილო ლამე.

მაგრამ შენ, გოგო, თვალებს რომ ნაბავ,
სხვაგვარი გრძნობა გულს ჩაგესახა.
ტანზე ჩაგიცვამს მარმაშის კაბა
და უმწვერვალეს ქუსლებზე დგახარ.

ახლა სახეზე სხვა ფერი გივლის,
ბაგე ნალაქი ბაგეს აღარ ჰგავს:
შემოგზედავენ ზიზღით, ტკივილით
გუშინ რომ გთვლიდენ შენ ამხანაგად.

მეცნიერების დრო იყო, თიხას
შენც ზელდი ოფლით და გაჭირვებით.
— ნეტავ, ვინ გითხრა, რომ ლამაზი ხარ,
ნეტავ, ვინ იყო შენი პირველი.

აცელქებული სარკესთან მიხველ,
წვალობ... რომ ყველას აწონო თავი...
— ლაფში გასვრილი გაზაფხული ხარ,
ფრთა მოტეხილი და საცოდავი.

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილების ტიპი სცენაზე

ალიო მაშაშვილი

საქართველოს დახელოვნებულ და სახელმოხვეჭილ მსახიობთა რიგებს ემატებიან ახალი კადრები.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მუშაობა ამის მაგალითს გვაძლევს (ახალი ძალების წამოწევაა „განგაშში“, „დუშმანში“, „სალტეში“, „ნინოშვილის გურიაში“ და სხვა).

მარგო აჭარაძე

ჭიათურელი მუშის შვილი, კომკავშირელი, საშუალო ცოდნით. პირველად სცენაზე გამოვიდა ჭიათურის მუშათა კლუბში. ახლა საქ. მუშა-ახალგაზრდობის თეატრის მსახიობი.

ახალი და ახალგაზრდა თეატრალური ძალების წამოწევის საქმეში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო შარშანდელი წელი. მე მხედველობაში მაქვს საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, რომელმაც საფუძვლიანად დაიმსახურა როგორც საბჭოთა პრესის, ისე ჩვენი ფართო საზოგადოებრივობის სიყვარული.

მტკიცე, ერთ შემოქმედებით ერთეულად შეკრულ კოლექტივიდან, როგორსაც წარმოადგენს საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის თეატრის ორგანიზმი— მაგალითისათვის დავასახელებ თუ გნებავთ მხოლოდ ერთს—მარგო აჭარაძეს. მე ის მხოლოდ ორ სპექტაკლში ვნახე („ალილუია“ და „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“), მაგრამ მის მიერ ამ ორ სპექტაკლშიაც განსახიერებული ტიპები ჩემთვის ახლაც ცოცხალ ადამიანებს წარმოადგენენ.

თუმცა სცენაზე ის ავტობიოგრაფიას „თამაშობს“, მაგრამ მაინც მიმზიდველია და დამაჯერებელი სწორედ იმის გამო, რომ ის თამაშობს გულწრფელად და დახლვეულია ძველი მსახიობურ ყალბ „ხელოვნურობისაგან“.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამხანაგი მარგო აჭარაძე ახლო მომავალში თავის თავზე მეტი შემოქმედებითი მუშაობით, შესძლებს გასცდეს „ავტობიოგრაფიულობის“ საზღვრებს და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, როგორც ნიჭიერი პროფესიონალი მსახიობი ქალი. ეს იქნება არა მარტო მისი, არამედ მთელი რევოლუციური თეატრალური ახალგაზრდობის გამარჯვება.

ჩვენ „ლიტერატურული გაზეთი“-ს რედაქციის მიერ დღევანდელ ნომერში მკითხველთა სამჯავროს წინაშე წარმოდგენილ ოთხ ახალგაზრდა ხელოვან ქალთა შორის, ამხ. მარგო აჭარაძეს თავისი საპატიო ადგილი უჭირავს და ჩვენც მოხარული ვართ ამხანაგურად მივესალმოთ ჩვენი ქვეყნის ქალიშვილების ამ მოწინავე ფალანგას.

მარგო თომაძე

აქტიური კომკავშირელი, „ახალგაზრდა კომუნისტის“ და „ნორჩი ლენინელის“ ერთერთი მოწინავე ჟურნალისტი: კრიტიკული წერილების, თეატრალური რეცენზიების და ბიბლიოგრაფიული შენიშვნების ავტორი. დაასრულა ტფილისის უმაღლესი სასწავლ. ლიტ. ფაკულტეტი.

მარიკა მიქელაძე

დღემდე იბეჭდებოდა დროგამოშვებით სხვადასხვა, უმთავრესად საბავშო გამოცემებში. აქვს თარგმანები რუსულიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულ ენებზე. დიდ ლიტერატურულ პრესაში პირველად დაიბეჭდა „სიტყვა და საქმეში“.

გმირები ათ ნაბიჯზე

მარგო თომაძე

ნიჭიერი მოქანდაკე უბრალოდ მოხაზავს პავლიკა მოროზოვის ნაკვთებს. ქვა მიიღებს გმირი ბავშვის გამომეტყველებას და გამვლელი იტყვის: — ეს არის გმირი პიონერი სოფელ გერასიმოვკიდან, რომლის სახელის ხსენებაზე მცხოვანი მწერალი მაქსიმ გორკი არა ერთხელ აცრემლებულა.

ქვა მიიღებს მოროზოვის გამომეტყველებას, მაგრამ იგი ვერ იტყვის, რომ პატარა პავლიკს, რომელმაც გასაოცარი სიმტკიცით გააკვირვა ყველა, ჰქონდა მშვენიერი ცისფერი თვალები და ოქროს ფერი თმები, რომ ამ ნაზი თვალებით იგი სასამართლოს წინაშე აფრქვევდა ზიზღს თავისი მამის და მისი დამქაშების—საკოლმეურნეო ქონების მტაცებლების მიმართ. ქვა ვერ იტყვის ყველაფერს ამის შესახებ. ის მხოლოდ მოროზოვის სახეს მიიღებს. მისი გმირული თავგადასავალი კი მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატს ელოდება. და ვინ იცის რამდენი ასეთი თემა ელოდება ნიჭიერი მხატვრის კალამს. „გმირები სულ ახლოს არიან ჩვენთან, ჩვენ მათ გვაშორებს სულ რაღაც ათიოდე წელი, ზოგჯერ კი ერთი დღეც“ — განაცხადა მარშაკმა მწერალთა ყრილობაზე.

როცა 17 წლის, პარაშუტისტკა ქალი ნინა კამნევა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში ცოცხლად აგვიწერდა თავის სარეკორდო გადმოხტომას და თვალების ციმციმით იგონებდა სასიამოვნო გრძნობებს გამარჯვების პირველ წუთებში, უნებურად გაირბინა თვალწინ ხალიჩით გაფრენილმა წმინდა ილიამ, ასე რომ გვაკვირვებდა ყველას ბავშობისას.

იგონებდენ გმირებს და თხზავდენ ზღაპრებს. ახლა გმირები ათ ნაბიჯზე არიან—მათ მხოლოდ შემოქმედებითი ცეცხლით გათბობა სჭირდებათ და სულ მალე შეიქმნება ყველაზე უფრო წარმტაცი ამბები, რომლებშიდაც გმირები უხალიჩოდაც გაფრინდებიან.

ჩვენი მწერლების მიერ ცხოველთა სამეფო თითქმის ხელშეუხებელია — ძველად კი ყველაზე მეტს ცხოველებზე სწერდენ, ობოლი ცრემლივით მოგორავს ვაჟა ფშაველას — „შვლის ნუკრის ნაამბობი“, სიკვდილამდი რომ არ ავიწყდება ადამიანს. რამდენნანს უნდა იცოცხლოთ, რომ დაგავიწყდეთ გაჭირვებულ ქამუშაძის მარჩენალი ძაღლი კუსია ბუჯერიდან რომ სტაცებდა მეზობლებს ლუკმას და ამით ინახავდა „გაფხეკილ იმერელ აზნაურიშვილის“ მთელ ოჯახს.

ჩინელ ბავშვებზე კი ლურჯხალათიანების ვერაგული თავდასხმების გამო პატარა ქუთაისელი მებარაბანეს — ანატოლ კასრაძის შეკუმშული მუშტი და საძაგელი ფაშისტების წინააღმდეგ აჯანყებული 11 წლის სიცოცხლე მოითხოვს ლამაზ, ამაღელვებელ სტრიქონებს.

— მიყიდე სტამბა, გაზეთი რომ იბეჭდება, ის სტამბა მიყიდე—დაჟინებით სთხოვდა პატარა ოქტომბრელი თავის დედას.

ცოტა უფრო ადრე კი ტფილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლის პიონერები საბავშო გაზეთის ფურცლებზე უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ არსებულ საბავშო ლიტერატურის მიმართ და მოითხოვდენ:

— არ გვინდა მხოლოდ ჩამოთვლა მანქანების სახელების, ბლიუმინგების, ბრძმედების, დანგრატების და სხვა. ჩვენ გვინდა მათი უფრო ახლო ჩვენება, ახლო გაცნობა, ჩვენ გვინდა ისეთი საინტერესო წიგნები, როგორც ემილ ზოლას „მაღაროებში მომუშავენი“.

ჩვენ სხვაც გვინდა: — გაგვახედეთ საუკუნეების წინ, მომავლისაკენ, გაგვაცანით აგრეთვე უძველესი ადამიანების ცხოვრება. მოგვეცით საბჭოთა ქვეყანა, თავისი გმირული ბრძოლებით წინათ, ახლა, ფანტასტიურ მომავალში...

როცა 15-16 წლის გოგონა „ვერტერს“ კითხულობდა ნერვიულ კანკალით და ცრემლმორეული თვალებით ჰკითხა მამას: — როგორ დასწერა გოეთემ ასე კარგად, ასე ამაღელვებლად.

— თავისი ჩვეულებისამებრ, წინ დამპალი ვაშლები ეწყო და ისე სწერდა — უპასუხეს მას.

— ნეტავი ბევრი მაშოვია წითელი ვაშლები, რომ ჩვენ მწერლებს დაუწყო წინ — ინატრა მან.

თუ მართლა დამპალი ვაშლები უშველის საქმეს, მაშინ ისინი ცოტა უფრო ადრე უნდა დაელაგებიათ მწერლებისათვის საწერი მაგიდის წინ, რომ 15-16 წლის ახალგაზრდობას „ვერტერისათვის“ არ მოეკიდა ხელი.

საინტერესო საბავშო წიგნები კი ფრანგული სადილივით იგვიანებს.

შეხვედრა ახალგაზრდებთან

როდესაც ახალ ლიტერატურულ კადრებზე ფიქრობ, ძალაუნებურად თვალწინ დგება ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული სახეები: მკაცრი და მოლუშული, თავის საქმეში გართული, სქელი (უსათუოდ) რედაქტორი, საწყალი და საცოდავი, ყველგან მოძულებული „დამწყები მწერალი“, ატუზული რედაქციის კარებთან და სარედაქციო ცვრბვრთა მთელი წყება (დარაჯებიდან მდივნებამდე), რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ გამოუკეტონ დამწყებ მწერალს ცხვირწინ კარი და არასოდეს არ შეუშვან რედაქტორის კაბინეტში.

მაგრამ... შემთხვევა, კარებთან ატუზულ მომავალ გენიოსის პატივისმცემელ ან მფარველ გავლენიანი პირის შუამდგომლობა და ათასში ერთი აღწევს იმას, რომ მის წინ თავაზიანად აღებენ რედაქციის კარებს და იწყება „დღე დიდებისა.“

ასეთია ჯეკ ლონდონის მარტინ იდენი, ასეთია თვით ჯეკ ლონდონი და ათეული სხვა, რომელთა სახეები აღბეჭდილია ლიტერატურაში.

ოქტომბრის ხუთს და შემდეგ ცხრას მწერალთა სასაბლის ერთერთ ოთახში ისხდენ ახალგაზრდა მწერლები და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს „ვლაპარაკებოდენ (პირველი კრება მოწვეული იყო „ლიტერატურული გაზეთის-და მე-2 მწერალთა კავშირის სამდივნოს ინიციატივით).

ისინი გაბედულად და სრული ხმით ლაპარაკობდენ იმაზე, თუ რა სჭირდებათ, რა გაკეთდა და რისი გაკეთებაა საჭირო.

ამ თათბირზე არ გამოცხადებულა ბევრი ისეთი, ვისი დასწრებაც აქ საჭირო იყო.

არ იყვნენ არც „ფედერაციას“, არც „ტექნიკა და შრომას“, არც საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ცეკას და არც ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილების წარმომადგენელნი. ბესო ჟღენტმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რა გაკეთდა, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. მთელ მოხსენებაში გავლებული იყო ის აზრი, რომ ახალგაზრდა მწერლისათვის საჭიროა მეტი სწავლა, მეტი განვითარება, თავის თავზე მუშაობა და ლიტერატურულ მემკვიდრეობის ათვისება.

მხოლოდ რევოლუციურ ბრძოლაში და სოციალიზმის შენების საქმეში უშუალო პრაქტიკული მონაწილეობის საფუძველზე დამყარებული ღრმა სწავლა, გასულ საუკუნეთა ლიტერატურის გაცნობა, მისი მარქსისტულ-ლენინური ათვისება—განუვითარებს ახალგაზრდა მწერალს სწორ მსოფლმხედველობას, მხატვრულ გემოვნებას და კრიტიკულ დამოკიდებულებას თავის შემოქმედებისადმი.

საჭიროა ინიციატივა და არა მხოლოდ დაყრდნობა ხელმძღვანელ მწერლის გემოვნებასა და მითითებებზე.

დღემდე საკონსულტაციო მუშაობა თავმოყრილი იყო ერთ ცენტრში—საკონსულტაციო კაბინეტში. ამ კაბინეტმა, მწერალთა კავშირის აზრით, ვერ შესძლო მათზე დაკისრებულ მოვალეობის სავსებით შესრულება. ნაკლი ჰქონდა ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალის“ მუშაობასაც. გაცილებით მეტი მოეთხოვებათ თვით ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც ხშირად მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ სადმე „დაიბეჭდონ“, ხოლო ნაწარმოების ხარისხს არ ან ვერ აქცევენ ყურადღებას, რადგან არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია, ცოდნა, გემოვნება. ლექსის თუ მოთხრობის დაბეჭდვა მათში მხოლოდ თვითკმაყოფილებასა და განდიდებას იწვევს.

დღეიდან სალიტერატურო კონსულტაცია გადადის ცალკეულ ჟურნალ-გაზეთების „მნათობის“, „ლიტერატურული გაზეთის“ „ახალგაზრდა მწერლის“ ხელში.

ასეთია მწერალთა კავშირის განხრახვა.

შალვა რადიანის (სახელგამი) განცხადების შემდეგ, რომ განზრახულია (მხოლოდ განზრახული?) დამწყებ მწერალთა ორი კრებულის გამოცემა და ვ. წულუკიძის („ლიტ. გაზეთი“) სიტყვის შემდეგ იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს რედაქცია ახალგაზრდებთან მუშაობას, დაიწყო კამათი მტკივნეულ საკითხებზე.

თათბირს ორმოცდაათამდე ახალგაზრდა ამხანაგი დაესწრო.



დამწყები დილეტანტი
—კარიკატურა მორის თალაკვაძის

ისინი ლაპარაკობდენ ცოდნის, გამოცდილების შეძენის აუცილებლობაზე, ლაპარაკობდენ თავის თავზე განუწყვეტელ მუშაობის საჭიროებაზე.

კამათში ხუთმეტამდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და ყველა ერთსულოვნად ილაშქრებდა მხატ. ჟურნალში ან გაზეთში ახალგაზრდობის სპეციალური გვერდის გამოყოფის წინააღმდეგ. ეს „გვერდი“ ჰყოფს მათ სხვა მწერლებისაგან, თითქოს რედაქცია წაწვრილი „ახალგაზრდები“ ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე ამ გვერდზე მოთავსებულ ნაწარმოებთა ხარისხისთვისო.

უკანასკნელ გამოვიდენ საკონსულტაციო კაბინეტის მუშაკი ლეონ ქიაჩელი და ამხ. დ. დემეტრაძე.

თათბირის დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირი არ დაკმაყოფილდება მხოლოდ საკონსულტაციო ერთეულების შექმნით, არამედ მუდმივად გაუწევს კონტროლს და ხელმძღვანელობას ამ საქმეს. გარდაქმნილ იქნება აგრეთვე ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“—აქ დაიბეჭდება მეტი თეორიული მასალა, მეთოდიური წერილები შემოქმედებით ტექნიკაზე. და თვით ახალგაზრდა მწერლების თხზულებებიც დაიბეჭდება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სავსებით გამართული იქნებიან მხატვრულად და იდეურად.

არსენას ლექსი

ილო მოსაშვილი

ჩემი ნაბადივით დაეშვება საღამო შავად
თითქო ქვეყანა ქოხია ჩალური.
ალგეთს გადაუვლის და თრიალეთს ჩავ
მთვარე ჩვენებური და ბორჩალური.

ახლა ამ ქედებზე დამფრთხალი უგეშოდ.
რამდენი ირემი და ნუკრია.
ჩვენს სოფელში გოგოა, უბეში
ვაშლები და ბუდეშური უყრია.

მარაბდაში ხმალი გამიჭედია,
დამაქროლებს არაბული უბელო.
ცისქვეშ ვეგდო—ვატყობ ჩემი ბედია
და მხრებზე შენ მეხვეოდე, ღრუბელო!

ავდრიანი, ნისლიანი ღამეა,
ეს წლები და ეს დღეები ცისმარე—
და თვალებში ცეცხლს მანთებს შხამიანს
ყორანივით შამომჯდარი სიზმარი.

არსენ, გულში სიხარული რაც არი,
აბრეშუმის პერანგია ქალისა,
სიყვარული—ერთი მუჭა ნაცარი
წაღებული იაღლუჯის ქარისა,

მეგობარი—მარტო გულში იარა,
მარტო ქვა და ერთი კუბოს ფიცარი,
საწამლავით ავსებული ფიალა
და ძვლებამდე ჩამტვრეული ისარი.

ეს ანდერძი მითქვამს ქვეყნის წინაშე,
სიყვარულით გავეყარე საწუთროს.
ვინც მაჯობოს ხელდახელ თუ რკინაში,
ჩემი ხმალი იმან დაისაკუთროს.

როგორ მიმდინარეობს კონკურსი

ჩვენი გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსმა მხატვრულ ნარკვევზე და ნოველაზე დიდი გამოძახილი ჰპოვა ავტორებს შორის.

დღე არ გავა რედაქციაში ორისამი მასალა არ შემოვიდეს. სამწუხაროა, რომ შემოსულ მასალებში ფაქტიურად არც ნოველებია და მით უფრო ნარკვევები არ არის. შემოსულ მასალების უმრავლესობა მოთხრობებია და ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენში ნოველას ვერ ანსხვავებენ მოთხრობიდან და რომ ნოველის და მხატვრული ნარკვევის დიდ ოსტატობას ჩვენ ჯერ ვერ ვეუფლებით.

არც მოთხრობების ჟანრია საქართველოში მაინცადამაინც კარგ მდგომარეობაში. ეს „პატარა ჟანრიც“ მოითხოვს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგრამ ეტყობა ზოგიერთ ავტორებს მოთხრობა უფრო „ადვილ“ საქმედ მიაჩნიათ—ისინი ფაქტიურად მოთხრობას შემოკლებულ რომანად აქცევენ და ამრიგად აღარც მოთხრობას და აღარც რომანს არ ვღებულობთ.

ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში დაიწყება საკონკურსო მასალების გამოქვეყნება.

კონკურსის ერთერი მონაწილე გვეკითხება: შეიძლება თუ არა ერთი ავტორის მიერ გამოგზავნილ იქნას რამოდენიმე მასალა. ვიმეორებთ: რედაქციამ კონკურსის დასრულებამდე არაფერი იცის ვინ ან რამდენს აგზავნის. მასალის ავტორის გვარი და ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი —ჩვენი გაზეთის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) უფელა საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს

სოციალისტური მშენებლობის პროცესში დღითიდღე იზრდება მხატვრული ლიტერატურის როლი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის საქმეში. განსაკუთრებული ხაზი გაუსვა ამ გარემოებას მწერალთა საკავშირო ყრილობამ. პარტია დიდ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიური ფრონტის ამ მხარეს.

მწერალთა ყრილობის შემდეგ, მასების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის საფუძველზე, საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში საჭირო შეიქნა გარდატეხის მოხდენა ლიტერატურული პრესის საქმეში. „სალიტერატურო გაზეთი“ (ამჟამად „ლიტერატურული გაზეთის“ სახელწოდებით) პარტიისა და მწერალთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებით 30 სექტემბრიდან გამოდის სისტემატურად ყოველ გამოსასველ დღეს, ე. ი. თვეში ხუთჯერ. მის ირგვლივ დარაზმულია საქართველოს საუკეთესო ბელეტრისტები, პოეტები, კრიტიკოსები, მეცნიერული მუშაკები, იუმორისტები, ჟურნალისტები და მხატვრები. გაზეთი ამუშავებს ლიტერატურასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მხატვრული სიტყვის საშუალებით ეხება აგრეთვე აქტუალურ საზოგადოებრივ მოვლენებს.

გაზეთის ირგვლივ მკითხველთა დარაზმვის მიზნით მწერალთა კავშირი ატარებს გაზეთზე ხელისმომწერთა შეგროვების დიდ კამპანიას.

ითვალისწინებს რა მხატვრული სიტყვის დიდ როლს ჩვენს სინამდვილეში, ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, პროფკავშირების კომუნისტურ ჯგუფებს, რედაქციებს, „სოიუზპეჩატს“, ფოსტის ორგანოებს და საერთოდ ყველა იმ ორგანიზაციებს, ვისაც გაზეთის გავრცელებასთან აქვთ საქმე,—ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მწერალთა კავშირს „ლიტერატურულ გაზეთის“ ირგვლივ მკითხველთა ფართო მასების დარაზმვისა და განსაკუთრებით წლიურ ხელისმომწერთა დიდი რაოდენობით უზრუნველყოფის საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი—პ. აღნიაშვილი



სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული მუშაკები „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში

ზეგ, 20 ოქტომბერს დღის სრულ პირველ საათზე „ლიტ. გაზეთის“ რედაქცია იწვევს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული, ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიური დარგების, ელხის იმ მეცნიერული მუშაკების, პროფესორების, ასისტენტების, ასპირანტების და დაწინაურებულ სტუდენტების თათბირს, რომლებსაც სურთ ჩვენ გაზეთში თანამშრომლობა.

თათბირზე განხილულ იქნება მეცნიერული ძალების გაზეთში მონაწილეობის საკითხი, გარჩეული იქნება გაზეთის უკვე გამოსული ნომრები და მომავალი მუშაობის გეგმა.

თათბირზე მოწვეულია აგრეთვე ტფილისის ყველა კომუნივერსიტეტების ის მეცნიერული ძალები, რომელთაც გაზეთში მუშაობა სურთ.

თათბირს უნდა დაესწრონ „ლიტერატურული გაზეთის“ ყველა თანამშრომლები, მწერალთა კავშირის წევრები.

თათბირზე შესავალი სიტყვით გამოვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. კარლო ორაგველიძე.

პამფლეტი, როგორც ჟანრი

შალვა შავგულიძე

აბა, რა ლიტერატურული კრიტიკოსი ვარ მე! მე დავბადებულვარ პამფლეტისტად... **გ. ბელინსკი**

ეპოქის სტილი ხასიათდება თავისი ტიპიური გაბატონებული ჟანრების ჯგუფით. მაგრამ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ფორმალური ელემენტების მექანიკური ჯამი. ეს კლასის მსწრაფებათა მთელი კომპლექსის თავისებური ბარომეტრია, რომელიც ხან ქარიშხალს გვიჩვენებს, ხან მოწმენდილ ცას, ხან შეტევას, ხან კი—ჭაობის სიმშვიდეს. ამიტომ ჟანრის შემოფარგვლა მარტო კომპოზიციურ-თემატიკური ნიშნებით იქნება პედანტური ცალმხრივობა. გარდატეხის მძაფრ მომენტებში, როცა „თავდაცვის ნიჟარები“ იხურება, ერთერთ გაბატონებულ ტიპიურ ჟანრს ყოველთვის წარმოადგენდა პამფლეტი. პამფლეტის სათავე უშუალოდ გაზეთიდან მოდის. მისი აყვავება მჭიდროდაა დაკავშირებული რევოლუციური ბურჟუაზიის ქარიშხლიანი პერიოდის მოვლენებთან. ამ ჟანრის უდიდესი კლასიკოსები — ფონჭუტენი, მილტონი, დეფო, სვიფტი, ვოლტერი, მარატი, დემულენი, გერცენი, სალტიკოვ-შჩედრინი, ჩერნიშევსკი — ესენი პირველად ყველა გაზეთის ფურცლებიდან იწყებდენ ნაღმების გაშვებას.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან ცნობილია ეგ. წ. „აფიშა - პამფლეტები“. მეტად საინტერესოა ასეთი „აფიშები“, როგორც თავისებური პამფლეტის ისტორიული ტიპები. ეს იყო მებრძოლი პოლიტიკური პარტიების პერიოდული „კედლის გაზეთები“ და შეიცავდენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის გაკიცხვას, დაცინვას, გამომჟღავნებას. „ომის ბიულეტენები“ ამზადებდენ დიდი პათოსის ხელოვნებას.

ჩვეულებრივად პამფლეტის ოსტატების თავზე ათასჯერ ჰკითხულობენ შაბლონურ საბრალმდებლო ოქმს. ამ ოქმის შინაარსი ყოველთვის იმაში მდგომარეობს, რომ თურმე პამფლეტური ნაწარმოების სიცოცხლის ვადა განისაზღვრება „დილიდან საღამომდე“. ეს ობივატელური ლეგენდა მოკლებულია ყოველგვარ ფაქტიურ დასაბუთებას. მარატის, სალტიკოვის, გერცენის, დეფოს პამფლეტები იწერებოდა ათეული და ასეული წლების წინეთ, მაგრამ მათ ახლაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

გაივლის საუკუნეები და ამ ბრძოლის ცოცხალ დოკუმენტებს მაინც გატაცებით წაიკითხავენ.

არასდროს გამარჯვებულ პროლეტარიატს არ ესაჭიროებოდა ისე მწვავედ პამფლეტის „სწრაფი არტილერიის ცეცხლი“, როგორც დღეს. ამიტომ წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ის მებრძოლი ჟანრები, რომლებიც ყოველდღეს, ყოველ წუთს გააკეთებენ ისტორიულ საქმეს. ჩვენ ვწმენდთ დედამიწის ერთ მეექვსედს კაპიტალიზმის ნარჩენებისაგან. ეს პროცესი არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ, ბრძოლის გარეშე. ძველი სამყაროს ნარჩენები ცდილობენ გავლენის მოხდენას ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, შეგნებაზე და განწყობილებაზე. გაცოფებული გარეშე და „შინაური“ მტრის წინააღმდეგობის, მისი მხეცური ბუნების ნიღაბის ჩამოხსნის საუკეთესო მხატვრული ფორმა არის პამფლეტი. მას აქვს მოწოდების, შეტევაზე გადაყვანის, მასების დარაზმვის და დაჯერების უნარი. ყველა სხვა თანასწორ პირობებში, პამფლეტი უფრო ადრე ჭრის საკითხს, ვიდრე ბელეტრისტი მოასწრებს მის დაყენებას.

ისტორია პამფლეტს იცნობს არა მარტო როგორც მებრძოლ ჟანრს, არამედ როგორც მებრძოლ განწყობილებას და შეიძლება ამას უფრო არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ახლა. დეფოს რომანში მზე არ ამოდის „ბნელ ნისლში“, იგი ამოდის ზუსტად 7 ს. და 39 წ. რობინზონი ნავს არ აშენებდა „უცნობ დროში“, არამედ 75 დღეს. ეს მხატვრული „ასკეტობა“, ერთგვარი „პურიტანობა“, რევოლუციური ბურჟუაზიის ცხოვრების და მოქმედების მთელი სტილი იყო. ამიტომაც იშვილა დეფო ახალგაზრდა ბურჟუაზიამ და ჟანჟაკ რუსომ თავის „ემილ“-ში დააკანონა მისი რომანი, როგორც ბავშის აღზრდის სახელმძღვანელო.

გავიხსენოთ ქართული ლიტერატურის მაგალითებიც. გიორგი წერეთელმა ბახვა ფულავას მამულების მთელი ბუხჰალტერული ანგარიში გადმოშალა თავის „დესიატინებით“ და მანეთებით. და „კუდის უკანა ნაწილის მუსიკა“? ესეც უეჭველად ახალი რომანის პამფლეტური საწყისი იყო.

რევოლუციური პამფლეტური რომანის ტიპიურ ელემენტებს შეიცავს ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“. თავისთავად ეს წარმოადგენს პასუხს ტურგენევის „შამებისა და შვილების“ წინააღმდეგ. რახმეტოვის ფიგურის გამოჩენამ იმ საზოგადოებაში, რომელსაც დობროლუბოვმა „აზროვნების სასაფლაო“ უწოდა, დატოვა აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება. აქ ნუ ეძებ წუთიერ ეფექტებს, მიმართავს მკითხველს ჩერნიშევსკი და თან იქვე დასძენს: მაინც ამის წაკითხვა მოგიტანს სარგებლობას, რადგან მე მოაზროვნე ვარო. მართლაც, მან განდევნა ავანტიურული ინტრიგა, მაგრამ დაამტკიცა, რომ ამის გარეშეც შეიძლება ისეთი მხატვრული ნაწარმოების შექმნა, რომელსაც ექნება მასის გატაცების—და მერე როგორი გატაცების!—უნარი. ამ რომანის კომპოზიცია ისეთივე იერიში იყო მასალის დამუშავების გაბატონებული ტრადიციული ხერხების მიმართ, როგორც მისი რევოლუციური იდეები.

პამფლეტის მომავალი არ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი მარტო დამოუკიდებელი ჟანრის ნაწარმოების (თუნდაც კარგი ნაწარმოების) სახით; თუმცა ესეც შეიძლება, მაგრამ რაც უმთავრესია, განსაზღვრული მომენტებით იგი გავლენას მოახდენს ბელეტრისტულ ჟანრზეც და შეღებავს მას თავისი საომარი დროშის ფერით. ახალი ამაში არაფერია. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობა, თუმცა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ ის შესწავლილი. აქ ღრმა მეცხიერული შესწავლის საგანი იქნება პამფლეტის ტიპის მემუარი, დიალოგები, დღიური (გერცენი), ლირიკა (ჰაინე, აკაკი წერეთელი, ბერანჟე) ეპოსი (ნეკრასოვი), სიმღერა („კარმანიოლა“, ხალხური შაირები), რომანი (ჩერნიშევსკი, გიორგი წერეთელი), ნოველა, მოთხრობა და ამის იქით გამოჩნდება მთაგრეხილის უფრო მაღალი მწვერვალები. პამფლეტის გამარჯვება ამ ბრძოლაში გულისხმობს განსაზღვრულ წინა პირობების შექმნას.

მხატვრული შემოქმედების გამოსავალ პუნქტად აღებულ უნდა იქნას იდეური აღტკინება. პამფლეტის სპეციფიკა სრულიად ვერ ითმენს პასიურ მისვლას მასალასთან, ჭვრეტით დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. ყალბად გაგებულმა დიდაქტიკამ წაშალა პათეტიური საწყისი ლექსში, ნარკვევში, მოთხრობაში. პამფლეტი სრული უფლებით აღადგენს მას და დააყენებს პრობლემებს, არ შეუშინდება ამ პრობლემის დამტკიცებას, მსჯელობას. ამაღლებული სტილი და დაჭიმული რიტმი შეავიწროებს, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაათავისებურებს აღწერით მომენტებს, რომელიც ახლა წარმოადგენს ბელეტრისტიკის ერთგვარ „ვიწრო ადგილს“.

პამფლეტის ერთერთი დამახასიათებელი თვისებაა ისიც, რომ მის თემატიკას განსაზღვრავს ეპოქის პოლიტიკური დღისწესრიგი. მაშინაც კი, როდესაც მას ძველ თემატიკურ მასალასთან აქვს საქმე, იგი უკან არ იხევს და ახდენს ისტორიის აქტუალიზაციას.

ტრადიციული „სამკუთხედების“ და „კვანძების“ მაგიერ პამფლეტს ახასიათებს:—მოულოდნელი ემოციური „თავდასხმები“, კონტრასტების მარჯვე თამაში, ორატორული მიმართვები, მძაფრი ფსიქოლოგიური დეტალები, ვნებიანი პათოსი, უეცარი მახვილის დასმა მოვლენაზე.. აბზაცი არის რიტმიულ სინტაქსიური და სემანტიური ერთეული და მისი ადგილის მოძებნასაც კი ექნება მნიშვნელობა იმისთვის, რომ თავზარი დასცეს მტერს.

პამფლეტი უნდა ემყარებოდეს დინჯ მეცნიერულ ანალიზს. მხოლოდ მაშინ წვდება მისი გესლიანი ისრები მიზანს. ვიქტორ ჰიუგოს „პატარა ნაპოლეონის“ ნაკლს მარქსი ხედავდა იმაში, რომ ჰიუგო დაიბნა და ლუი ბონაპარტის პირად ინიციატივას მიაწერა თითქმის ღვთაებრივი თვისებები. ჰიუგოს მარცხი იმაში იყო, რომ მას არ ესმოდა ნიღაბის ჩამოხდის, გამომჟღავნების ხელოვნება. ეს პუნქტი კი უმთავრესია პამფლეტისთვის. ამოცანა მარქსის აზრით იმაში იყო, რომ გამოაშკარავებულიყო კლასობრივი ბრძოლის ის გარემოებები, რომელმაც შესაძლებელი გახადეს ლუი ბონაპარტს, „ამ საშუალო და უხიაკ პიროვნებას, გმირის როლი ეთამაშა“.

სოციალური განზოგადების, მოვლენის გატიპიურების ეს უნარი, საბოლოო ანგარიშით წყვეტს პამფლეტური ლიტერატურის გამარჯვებას. და როცა ქუჩაზე გაივლის მავნე ელემენტი, მოქალაქე ვერ უნდა ახერხებდეს თავის შეკავებას: აი, ის, აი, თვითონ ის კაცი!—გაიმეორებს იგი პერსონაჟის სახელს. ეს პატარა რეპლიკა ყველაზე უკეთესად დაადასტურებს პამფლეტის მაღალ ღირსებას. ჰიუმორი თუ ჭრილობას ხსნის, სატირა მას აღიზიანებს, შხამავს, გესლით ავსებს, მაგრამ პამფლეტი მას **ჰკლავს**. არც მეტი არც ნაკლები.

მაგრად დავიჭიროთ ხელში ეს იარაღი, რომელიც ჰკლავს!

ლიტ. გაზეთი

რას კითხულობენ ნაძალადევის სამკითხველოში

მუშათა რაიონშია პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა. წამძღოლ წარმოებებს ემსახურება იგი და ამიტომ უფრო საინტერესოა მისი ნამუშევარი მასალების გამომზეურება.

779 მკითხველი ჰყავს ბიბლიოთეკას. უმთავრესად მხატვრულ წიგნს მოითხოვენ ისინი. მხატვრული წიგნი ხელიდან-ხელში გადადის, მაგრამ არა სწორი დაფინანსება აქაც ხელს უშლის ბიბლიოთეკა გაუსწორდეს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

მუშათა მოთხოვნით შეისყიდეს ახლად გამოსული „ვეფხის ტყაოსანი“, მაგრამ ეს წიგნი ფართე მასისათვის ხელმიუწვდომელი გახდა, ერთი ეკზემპლიარი აქვთ და შინ წასაკითხად როგორ გაატანონ ვისმეს. წაკითხვის მსურველები კი ძალზე ბევრია.

რკინის გზის პროფკავშირებს შეუძლიათ უფრო ძლიერი მატერიალური ბაზა შეუქმნან მხატვრულ წიგნს პლეხანოვის ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები ცდილობენ დაუახლოვდენ მუშათა ფართო მასას. წიგნი დაზგასთან მიაქვთ მოძრავი სამკითხველოების საშუალებით, აწყობენ დისპუტებს მხატვრულ ნაწერების გარშემო, მწერალთა შეხვედრას აქტიურ მკითხველებთან, მუშაობდა ლიტერატურული წრეც, მაგრამ მუშა მკითხველის უფრო დაწვრილებითი შესწავლა ჯერ კიდევ არ სწარმოებს.

მკითხველი უკვე არჩევს ავტორებს, იგი გაიზარდა და კრიტიკულ თვალსაზრისით უყურებს თვითეულ მხატვრულ ნაწარმოებს.

პანტელეიმონ ჩხიკვაძეს მეტად მასიური მკითხველი ჰყავს. მისი „სართულები“ და „ამხანაგი ბუთხუზი“ მუდმივ ბრუნვაშია. ხოლო ამ რამდენიმე კვირის წინად გამოსული „ნაბიჯები“ უკვე რამდენიმე მკითხველმა წაიკითხა.

კონსტ. ლორთქიფანიძის „ძირს იმინდის რესპუბლიკა“ 145 მკითხველმა წაიკითხა. ამ წიგნზე ისევ საკმაო მოთხოვნილებაა.

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, როდესაც ის პირველად გამოვიდა, ბიბლიოთეკამ შეიძინა ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც წაიკითხა 55 კაცმა. მისი ნაწერების პირველი ტომი 118 მკითხველმა წაიკითხა, კვაჭი კვაჭანტირაძე კი 36 მკითხველმა.

დემნა შენგელაიას „ბათა ქიქია“ წაკითხული აქვს 60 მკითხველს.

ა. ქუთათელის „პირისპირ“ ორმოც მკითხველს.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“ 12 კაცმა წაიკითხა.

ბიბლიოთეკის გამგის (შარაშენიძე) გადმოცემით ბევრი მკითხველი ჰყავს პავლე საყვარელიძის „დაფარულ ფურცლებს“. ახლად გამოსულ „ჩატეხილ ხიდს“, მაგრამ ცოტა ზანტად იკითხება მისი „ქვა და რკინა“.

ძალზე ცოტა იკითხება ლექსები. ალბად ბიბლიოთეკარებიც არ სცდილან ამოეძებნათ მასიური ფორმები ლექსის წიგნების ფართე მასებში გატანის საქმეში.

უნდა იფიქრონ ამის შესახებ ბიბლიოთეკარებმა.

ლერმონტოვი საქართველოში

ი. ენიკოლოფოვი

„ჯვარის გადასავლიდან ჩანს ნახევარი საქართველო... მთელ სიცოცხლეს არ მომბეზრდებოდა მისი მზერა“...

ასე გამოთქვამდა ლერმონტოვი თავის შთაბეჭდილებას, როცა მან ფეხი შემოდგა საქართველოში, სადაც იგი გადმოასახლეს 1837 წელს პუშკინის მოკვლის გამო დაწერილ ლექსისათვის, რომელიც იმ ხანებში ფართოდ იყო გავრცელებული (ხელნაწერის სახით).

„ჩინში“ დამდაბლებით ლერმონტოვი გვარდიიდან გააწესეს ნიჟნეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც ბანაკად იდგა კახეთში, სოფ. ყარაახაჩში. მაგრამ დანიშნულების ადგილს ლერმონტოვი მაშინვე არ გამოცხადებულა. როგორც მას ჩვეოდა, ამ შემთხვევაში მან არ გაუწია ანგარიში ყაზარმულ წესებს და უფროსების ბრძანებას; რამდენიმე ხანს დაჰყო სტავროპოლში, შემდეგ ტამანით გაემგზავრა მოქმედ რაზმში—გელენჯიკში, რომელიც მაშინ წარმოადგენდა მთავარ დასაყრდნობ პუნქტს შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე (აქედან მისი ნოველა „ტამანი“), სადაც მან მონაწილეობა მიიღო საომარ ოპერაციებში. ამ ადგილებიდან, როგორც თვით ლერმონტოვი აღნიშნავს, ჩაევსკისადმი მიწერილ ბარათში, გაემგზავრა მინერალურ წყლებზე (Мин. воды), „რადგან გზაზე გაეცივდი და რევმატიზმით ვიყავ დაავადებულიო“. წყლებზე დაჰყო 1837 წლის მთელი ზაფხული, ცხოვრობდა პიატიგორსკში. იმ ხანებში მიღებული შთაბეჭდილებები და განცდები ლერმონტოვმა ასახა თავის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებში „ჩვენი დროის გმირი“.

1837 წლის აგვისტოს დამლევს და სექტემბრის დამდეგში ლერმონტოვი ისევ მოქმედ რაზმშია, გელენჯიკს ახლო, სადაც მოელოდენ არმიის სარევიზიოდ გამომგზავრებულს ნიკოლოზ პირველს. გელენჯიკზე ლაშქრობის დროს ლერმონტოვი ხვდება დეკაბრისტ ა. ოდოევსკის, „странствует с ним и делит тоску изгнания“.

მხოლოდ ოქტომბრის დამდეგს ლერმონტოვი საქ. სამხედრო გზით ჩამოდის ტფილისში, სადაც მის პოლკს (ნიჟგოროდის) მონაწილეობა უნდა მიეღო აღლუმში.

1837 წ. 10 ოქტომბერს ტფილისში მოეწყო აღლუმი; ჯარის სხვა ნაწილებს შორის ყველაზე თავი გამოიჩინა ნიჟგოროდის პოლკმა, რისთვისაც იგი დაჯილდოვეს. დააწინაურეს ლერმონტოვიც—ისევ გააწესეს გვარდიაში. მაგრამ აქედან იგი მაშინვე არ გამგზავრებულა (პოლკიდან მისი მოხსნის თარიღია 25 ნოემბერი). ტფილისის ძველ მკვიდრთა გადმოცემით, აქ ლერმონტოვი სამ კვირას ცხოვრობდა ერთ განათლებულ თურქთან. დღემდი შენახულია ლერმონტოვის ჩაწერის ნაწყვეტები, სადაც ნახსენებია განსწავლული თათარი ალი და ახმეტი, აწერილია საშინელი შემთხვევა, რომელმაც იმსხვერპლა ერთი რუსი ოფიცერი. ეს მასალა ნაწილობრივ გამოყენებულია ლერმონტოვის მიერ ლექსში („свидание“). ტფილისში ლერმონტოვი სწავლობს თათრულ ენას, დადის აბანოებში, ხატავს ღირშესანიშნავ ადგილებს; ამავე ხანებში მას ებადება „მექაში, სპარსეთში გამგზავრების აზრი“.

ტფილისში ლერმონტოვის ყოფნის პირველი დღეები დაკავშირებულია ზეიმთან, რომელიც მოეწყო აქ ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლის გამო. იმ ნადიმზე, რომელიც ქართველმა თავადაზნაურობამ გაუმართა იმპერატორს, ლერმონტოვს საშუალება მიეცა ენახა „მთელი ტფილისი“. გარდა იმისა, რომ ლერმონტოვი უკვე იცნობდა თავისი პოლკის ოფიცრებს—ქართულ თავადებს (ციციშვილს, ქობულიშვილს). აქ მას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ცნობილ პოეტებს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, თურქ მწერალს ფატ-ალი ახუნდოვს, შემდეგში სახელგანთქმულ სომეხ მწერალს ხ. აბელიანს, მხატვარს გრ. გაგარინს და სხვ.



სამხედრო სამსახურიდგან დროებით განთავისუფლებული ლერმონტოვი ეწვია კახეთსაც, სადაც, როგორც თავად იგონებს „ел чурек, пил кахетинское“. კახეთიდან პოეტი გაემგზავრა შემახასა და ყუბანში, სადაც იდგა მისი პოლკი, რომელიც გაიგზავნა ამ ადგილებში „არეულობის“ ჩასაქრობად (სექტემბრის შუა რიცხვებში).

ამის შემდეგ ლერმონტოვს საქართველო აღარ უნახავს, აღარ უნახავს ქვეყანა, რომელიც დიდი სინანულით დასტოვა. და რომელმაც ღრმა კვალი გაავლო მთელ მის პოეტურ შემოქმედებაში.

კავკასიაში, კერძოდ საქ—ში მიღებული შთაბეჭდილებებით დასწერა პოემა „დემონი“, „აშიკ ყარიბი“. „ხაჯი აბრეკი“ „მწირი“, რომანი „ჩვენი დროის გმირი“, ლირიკული ლექსები „პოეტი“, „свидание“ და სხვა. სთვლის რა თავის შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ კავკასიას, კერძოდ საქართველოს, ლერმონტოვი უწოდებს მას „მშობლიურ“ „წარმტაც ქვეყანას“ და პეჩორინის პირით აღიარებს, რომ კავკასიაში გატარებული დრო იყო „ჩემი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერი დრო“-ო. საქართველოც არ დარჩა ვალში ლერმონტოვს. ძალიან მოკლე ხანში იგი მეტად პოპულიარული შეიქნა ჩვენში. მაგ. ნ. ბარათაშვილს ერთ-ერთ კერძო წერილში მოჰყავს მისი ლექსი „и скучно и грустно“. თვით ბარათაშვილის შემოქმედება ძალიან ენათესავება ლერმონტოვისას. შემდგომი თაობის პოეტებიც—ილია ჭავჭავაძე, მამია გურიელი, გრ. აბაშიძე, ვაჟა-ფშაველა გულმოდგინეთ და სიყვარულით თარგმნიან ლერმონტოვს და ამდიდრებენ მის უკვდავ ნაწარმოებთა თარგმნებით ქართულ ლიტერატურას.

პოეტი

მიხ. ლერმონტოვი

მოოქროვილი ნატიფობით ბრწყინავს ხანჯალი—
ჩემი იმედი, ჩემი მხნეობა;
ფოლადის პირებს ნაცადობა აქვთ იდუმალი—
აღმოსავლეთის მემკვიდრეობა.
ის მთიელ მხედარს ემსახურა მრავალი წელი,
ბევრჯერ აჰხოცა მტერი ერაგი,
მრავალ მკერდებზე დაამჩნია ჭრილობა მწველი,
ბევრჯერ გახია რკინის პერანგი.
მოუსმენია მორჩილებით ბევრი ხუმრობა,
შეურაცყოფა კი—სწრაფი ელვით
და იმ დღეებში ოქროსფერი ეს ნატიფობა
მისთვის სასირცხვო იყო საცმელი.
თერგის გადაღმა ის იპოვა გმირმა კაზაკმა
თავის ბატონის გაყინულ გვამზე
და შემდეგ იგი დიდ ხანს ეგდო თერგის გადაღმა
ერთი სომეხის მხედრულ კარავში.
და აღარ შერჩა დამსხვრეული ომში ქარქაში
საბრალო მოძმეს დაღუპულ გმირის,
და ახლა ოქროს სათამაშო ნივთად დარჩა შინ,—
კედელზედ უქმად უბრწყინავს პირი.
ახლა არავინ ჩამოიღებს მზრუნველი ხელით,
არავინ გასწმენდს, არ განიკითხავს
და მის წარწერებს რიჟრაჟის წინ კრძალვით მლოცველი
ახლა არავინ არ წაიკითხავს.—
ჩვენს ნებიერ დროს შენც ასეკე ნახე დაცემა,
პოეტო, შენი კარგი სახელის,
და გადასცვალე ოქროებზედ შენ აღტაცება
შენი ყოველი ჩუმი მნახველის.
იყო დრო, როცა შენი მძლავრი სიტყვების წყებით
იმედი იყავ მებრძოლისათვის
და სჭირდებოდი, როგორც თანი, ხალხს, ნადიმების,
ან საკმეველი ლოცვის საათის.
და შენი ლექსი, ღვთის სულივით, დაჰქონდათ ბრბოებს,
და მისი ხმები კეთილშობილი
რეკდენ იმ ზარად, როცა ხალხი რაიმეს გლოვობს
ანდა ზეიმი აქვს კმაყოფილი.
გვართობ ბრწყინვალე ტყუილით და სიტყვით მაოცით,
შენი ამაყი ენა მოგვწყინდა,
ვით მოხუც ლამაზს, ჩვენი სახის ძველი ნაოჭის
ვარდის ფერებით დაფარვა გინდა.
გაგეღვიძება დამცირებულ წინასწარმეტყველს?
თუ არასოდეს დაგტოვებს ბანგი
და ვერ იშიშვლებ ქარქაშიდან მოოქვრილ მახვილს
დაფარულს ზიზღის წითელი ჟანგით?

თარგ. გივი გაჩეჩილაძისა.

გოლო მოუღოთ საერთო ფრაზებს

ნიკოლოჯ ჩაჩავა

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული მასალები მხატვრული წიგნის ფართო მასებში გატანის შესახებ, იძლევა არა სასიამოვნო აურათს.

მხატვრული წიგნი ჯერ კიდევ არ გამხდარა ფართო მასების მოხმარების საგნად. და ეს ხდება მასიურ ბიბლიოთეკებში, რომელთაც ბევრი სხვადასხვა საშუალება აქვს მკითხველის მოზიდვისა და მასთან მუშაობისათვის.

უპირველეს ყოვლისა პროფკავშირებისა და განათლების ორგანოების უყურადღებობაა მასიურ მკითხველთა მუშაობის საკითხებისადმი. აბა, რას უნდა მიეწეროს, თუ არა უყურადღებობას, ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკები მთელი თვეობით და ხშირად წლობითაც არ იძენენ მხატვრულ წიგნს, მაშინ როდესაც საამისოთ გათვალისწინებული თანხები მოიპოება?

რა უნდა გააკეთოს ბიბლიოთეკამ, თუ მას წიგნი არა აქვს. ბიბლიოთეკარისათვის წიგნი სამუშაო საწარმოო იარაღია.

უბედურება ის არის, რომ ფონდების ერთბაშად შევსებაც ვერ ანაზღაურებს ბიბლიოთეკების დანაკლისს წიგნების შეძენის საქმეში.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკარის დაბალი კვალიფიკაცია ვერ უზრუნველყოფს მხატვრული წიგნის მასიურ მოხმარების საგნად გახდომას. ჯერ ერთი, იგი ვერ იცნობს მკითხველს, არ იცის მისი მოთხოვნილება, თვალყურს არ ადევნებს, ვინ რას ჰკითხულობს, როგორ ჰკითხულობს, არ ეხმარება მკითხველს წიგნების შერჩევის საქმეში, არ იყენებს უამრავ მასიურ ფორმებს წიგნზე მუშაობის დარგში (მუშათა კრიტიკის საღამოები, ანოტაციები წიგნზე, მკითხველთა კონფერენციები, მწერლისა და მკითხველის შეხვედრები და სხვა) და, რაც მთავარია, ბიბლიოთეკარი თვითონ არ იცნობს მხატვრულ ლიტერატურის საკითხებს. იგი ხშირად თვითონ არ ჰკითხულობს მხატვრულ წიგნს, ვერ არჩევს ავტორებს ერთმანეთში.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საქმის მოწესრიგებაში უშუალოდ მწერალსაც, იგი უშუალოდ უნდა ხვდებოდეს თავის მკითხველს, ნამდვილ მკითხველს, რომელსაც მართლაც წაუკითხავს მწერლის ნაწერები და შეუძლია გამოთქვას კონკრეტიული აზრი წაკითხულის შესახებ. ასეთ შეხვედრებში ურთიერთის მიმართ ჩვეულებრივი „ტოსტების“ და დეკლარაციების სტილი აღმოფხვრილ უნდა იქმნას!

მაიაკოვსკი სისტემატურად ამოწმებდა აბონენტს, უშუალოდ ესაუბრებოდა მკითხველს, კრებდა მასალებს ბიბლიოთეკარიდან, ეკითხებოდა გამყიდველს, მან იცოდა, რომელი წიგნი როგორ იყიდებოდა, რომელ წიგნს უფრო ჰკითხულობდა მკითხველი, იგი მკითხველთან მიწერ-მოწერას აწარმოებდა.

მკითხველი კი არა მარტო შთაბეჭდილებებს სწერდა წაკითხულის შესახებ, არამედ გამოთქვამდა თავის აზრს არსებითად მხატვრულ ნაწარმოებზე, მის მიერ წაკითხულის ფორმის და შინაარსის შესახებ.

ასეთი ურთიერთობა ორივე მხრისათვის სასარგებლოა, მაგრამ უფრო ნაყოფიერია მწერლისათვის. პრაქტიკა, რომელიც დღემდე გავრცელებული იყო ჩვენში, მწერალთა და მუშათა აქტივის შეხვედრების სახით, უფრო მისალმებებითა და მიტინგებით თავდებოდა, არავითარი რეალური შედეგი არ მოქონდა ცალკეულ მწერლისა და მკითხველის დაახლოვებისა და გაცნობის საქმეში. ხშირად ამ შეხვედრებს ესწრებოდა უმეტესად ის ხალხი, რომელსაც სრულიად არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შეხვედრები ეწყობოდა წინასწარი სამზადისისა და მკითხველთა შესწავლის გარეშე.

ლიტერატურული წრეების მუშაობაც უნდა გამოვიყენოთ მხატვრული ლიტერატურის ფართო მასებში გასატანად. ჩვენში კი ამ წრეებს არ ექცევა საჭირო ყურადღება.

დრო არის მხატვრული წიგნი მასიურ მოხმარების საგნად გახდეს!

ლიტ. გაზეთი



ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში

პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა შეადგინა და ელხში წარადგინა ბიბლიოგრაფია „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“. ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია ყველა თარგმანები, გადაკეთებანი, წერილები და გავლენების ფაქტები.

:პირველი:ქართული:გაზეთი:

ქართული გაზეთის 125 წლის თავისათვის

პაატა გუგუშვილი

ასოცდახუთი წლის წინად, 1819 წ. დასაწყისს ტფილისში გავრცელდა შემდეგი შინაარსის „გამოცხადება“.

„სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამა ქვეყნისათა მომავალს მარტის თვის პირველს რიცხვიდგან წინადადებულ (განზრახულ) არს, რომელ გამოიცემოდენ თბილისსა შინა ბუნებრითისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსა ეწოდება „საქართველოს გაზეთი“.

„გამოცხადება“ გვაცნობს ამ გაზეთის პროგრამას, რომელიც 5 განყოფილებისაგან შედგება:

1. საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო უწყებებში თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ ბრძანებანი: 2. ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანება-დადგენილებანი; 3. საქართველოს და მოსახლვრე ქვეყნის ამბები; 4. ცნობები აღმოჩენა-გამოგონებათა და ლიტერატურაში და ხელოვნებაში ახალ მოვლენათა შესახებ; 5. ნაწყვეტები საყურადღებო მოვლენათა შესახებ რუსულ ჟურნალ გაზეთებიდან.

გამომცემლობა გვარწმუნებს, რომ მას კომერციული მიზნები არა აქვს, მაგრამ გაზეთის ხარჯების დასაფარავად საჭიროა 500-მდე მაინც ხელისმომწერი: „რიცხვი ამ გაზეთზე ხელისმომწერთა აღმოაჩენს, თუ რაოდენ შორს განვრცელდება აქაურთ მცხოვრებთ წადილი, რათა დააახლოვონ თავნი თვისნი ჩვეულებათა შინა ერთა თანა ადრით ჟამითგან განათლებულთა“. (წლით ხელის მოწერის ფასად გამოცხადებულია 2 მან. ვერცხლით).

ტფილისში ქართული გაზეთის გამოცემა აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მაშინდელ ტფილისში და მთელ საქართველოში არა ქართველთა შორისაც კი ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ქართული ენა, და ტფილისელი სომეხი, სპარსელი და სხვა მუსულმანი ვაჭრები თავიანთ დავთრებს და ყოველგვარ ადგილობრივი ხასიათის კომერციულ მიმოწერას აწარმოებდენ ქართულად.

ამ გაზეთის გამოცემა ნავარაუდევი იყო 1819 წ. 1-ლი მარტიდან, მაგრამ როგორც ირკვევა, ხელისმომწერთა მოუგროვებლობამ მისი გამოსვლა რამდენადმე შეაფერხა: **„საქართველოს გაზეთის“**—პირველი ნომერი გამოიცა 1819 წ. 8 მარტს ეს იყო ყოველკვირეული გაზეთი და გამოდიოდა პარასკევობით. ეს იყო ამავე დროს პირველი გაზეთი მთელს კავკასიაში.

გაზეთი საკმაოდ ამართლებდა წინდაწინვე გამოცხადებულ პროგრამას. მის დასახასიათებლად საკმაოა გავეცნოთ პირველი ნომრის შინაარსს:

1. სანკტპეტერბურღს: მოთხრობილია საახალწლოთ მეფის ოჯახის მიერ დიპლომატიური კორპუსის და სხვ. მიღებულ მილოცვებისა და სასახლის საახალწლო ცერემონიალის შესახებ;

2. უმაღლესნი ბრძანებანი: ცნობები ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის უფროსთა ადგილიდან ადგილზე გადაყვანისა და ახალი დანიშვნების შესახებ;

3. გამოცხადებანი: სამოქალაქო გუბერნატორ ერმოლოვის განცხადება მთხოვნელთა მიღების შესახებ;

4. უცხო ქვეყნის ამბავნი: გერმანიისა . . . . ერთ მაინელ მექუდეს აღმოუჩენია ისეთი ნაბადი ქუდის გასაკეთებლად, რომელსაც ვერც ხმალი და ვერც ტყვია ვერ გასჭრის... შემდეგ აქვე გადმოცემულია ნიდერლანდიის, „ანგლიის“, შვეიცის და სხვ. ქვეყნის მსგავსი ამბები.

5. შერეული (sic!) ამბავი: ანანურის მაზრის სოფელ ყინწვანის მცხოვრებს სახელმწიფო ყმას, ქართველს თამაზა ხახიაშვილს როგორც გვარწმუნებენ... უცოცხლია ასოცდაცამეტი წელიწადი და ამა თებერვალს მომკვდარა ჩვეულებრივი სიკვდილით“.

ეს გაზეთი რეგულარულად გამოდიოდა მთელი 1819 წლის განმავლობაში: ამ წელს გამოიცა სულ 43 ნომერი. ხანდახან გაზეთს ახლდა დამატებითი ფურცელიც, რომელშიაც განცხადებები იბეჭდებოდა.

„საქ. გაზეთი“ გამოდიოდა 1820 და 1821 წ. წ. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1820 წ. მეორე ნახევრიდან მის გამომცემლობაში ერთგვარი რეორგანიზაცია მომხდარა, რასაც, სხვათა შორის, მოყვა გაზეთის სახელის გამოცვლა. გაზეთის ტექსტს ჯერ რუსულად ადგენდენ და შემდეგ კი ქართულად თარგმნილს ბეჭდავდენ.— გაზეთს რუსულად „Грузинская газета“ ეწოდებოდა. მთარგმნელმა უკეთესი ქართული შესატყვისი გამოუნახა: „ქართული გაზეთი [1]).

N. 12.

ამ დროიდან გაზეთს ეტყობა ერთგვარი გაუმჯობესება: სტილი უფრო დახვეწილია, რუსიციზმები ნაკლებადაა.

მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია ხშირად თხოვდა: „მოყვარეთა სიტყვიერისასა სწავლისათა, რათა მისცენ მათ ქართულსა ენასა ზედა სხვადასხვანი ცნობანი, მოთხრობანი, ყურადღებისა ღირსთა საგანთათვის, რომელნიც ყოველნივე კმაყოფილებით მოხსენებულნი იქნებიან გაზეთსა ამას შინა“, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთში ქართულ ლიტერატურულ მასალას ვერ ვიპოვნით. ის ბოლომდე დარჩა მეფის რუსეთის ოფიცრების „ლიტერატორობიას“ ორგანო.

1822 წ. ამ გაზეთის გამოცემა შეწყდა. როგორც არქივის მასალებიდან ირკვევა, ჯერ კიდევ 1821 წ. დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო ნაწილის გუბერნატორი წინადადებას აძლევს ტფილისის პოლიცმეისტერს, რათა უკანასკნელს ყოველგვარი დახმარება გაეწია „ქართული გაზეთის“ ხელისმომწერთა გამრავლებისათვის. ხოლო „კოლეჟსკი ასესორ“ პლეშჩეევმა უბნების ზედამხედველთა დახმარებით 1822 წ. მარტის დამლევამდის მთელ ტფილისში ძლივს მოაგროვა 19 ხელის მომწერი. ამგვარად უნდა ვიფიქროთ, ხელისმომწერთა უყოლობის გამო, ეს გაზეთი, რომლისათვისაც ასე ზრუნავდენ სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, 1822 წ. უკვე არ გამოსულა.

შემდგომი, მეორე, გაზეთი, რომელსაც „ტფილისის უწყებანი“ ეწოდებოდა, გამოიცა 1828 წელს.

[1]) ვრცლად იხ. პაატა გუგუშვილი „ქართული წიგნი 1629 — 1929“, გვ. 299 შემდ.

საქართველოს გაზეთი

მარტის 8 დღეს ჩვენ წელსა ტფილისში.

No. 1.

სანკტპეტერბურღს

[illegible]

გასტროლიორი პროვინციაში

აკაკი გელიაშვილი

მოზღვრალ ადამსკის ძალიან უქეს ახალსენაკი, და როდესაც იგი მატარებლიდან ჩამოხტა და ქალაქში გავიდა, მართლაც აღტაცებაში მოვიდა. ლამაზმა და სუფთა ქუჩებმა, კოხტა ორსართულიანმა სახლებმა, სასტუმრომ, სასადილომ და სხვა დიდი ქალაქის დამახასიათებელმა დაწესებულებებმა მას მოაგონეს ევროპის პატარა პროვინციული ქალაქი.

მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ დარაბაში ბილიარდსაც კი მიაგნო და სიამოვნებით წააგო ერთ მეგრელ ახალგაზრდასთან ორი პარტია.

აფიშები მის ჩამოსვლის შესახებ იმ დილითვე გააკრეს და კლუბის გამგემ აუცილებელი ანშლაგი აღუთქვა. აკომპანიატორიც იშოვეს და კმაყოფილი ადამსკი მთელი დღე დაეხეტებოდა ქალაქში. დაათვალიერა ყოველი კუთხე, ავიდა გორაკზე და იქიდან დიდხანს გასცქეროდა დაცემულ დაბლობს, შორეულ გურიის მთებს, ცაზე გადაფენილ სტატიკურ ღრუბლის ქულებს და ბუნების სილამაზით გატაცებულს სრულებით არ უგრძვნია მარტოობა.

მზე ჩავიდა.

●

ცხრა საათზე უნდა დაწყებულიყო მისი საგასტროლო საღამო, მაგრამ, ვინაიდან პროვინციაში საზოგადოდ ჩვეულებად აქვთ დაგვიანებით მოსვლა თეატრში, ამიტომ თითონ ადამსკიმაც დააგვიანა მისვლა და თეატრში მხოლოდ ათის ნახევარზე მივიდა.

მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

კლუბის კარები მას დაკეტილი დაუხვდა.

არც მოლარე იჯდა სალაროში და ეზოში ერთი კაციც ვერ დაინახა.

უხერხულად მიმოიხედა. ცოტა ხანს ისევ იდგა გამოშტერებული და შემდეგ ერთს შეთხვევით გამვლელ მოხუცებულს ჰკითხა:

— უკაცრავად, კლუბის გამგე ხომ არ იცით სად იქნება?

— ვამჩჩუ რუსული, პატენი—უპასუხა მოხუცმა და გზა განაგრძო.

ადამსკი კიდევ ერთხანს იდგა თეატრის წინ, შემდეგ მოუარა შენობას, გადაიარა ვილაცას ეზოზე და უბრალო ფიცრის კარებს მიადგა, აბრახუნა, მაგრამ არავინ არ გამოიხედა.

— უეჭველია, ძალიან ადრე მოვედი.— გაიფიქრა ადამსკიმ და კიდევ ნახევარი საათით დაცდა გადაწყვიტა. ისევ სასტუმროში დაბრუნდა, სამტრედიაში ნაყიდი ჟურნალი „თეატრი“ გადაათვალიერა და ორმოცი წუთის შემდეგ ისევ კლუბის შენობისკენ გაემართა.

კლუბში ისევ არავინ არ დაუხვდა.

განცვიფრებასთან ერთად გაბრაზდა კიდეც. გარშემო უნუგეშოდ მიმოიხედა, მაგრამ კლუბის გამგე კი არა უბრალო გამვლელიც კი ვერ დაინახა. რამდენიმე ქუჩა გაიარა, უკან ზობრუნდა, კლუბის შენობის წინ გაჩერდა და საათს დახედა. თერთმეტს ოცი წუთი აკლდა.

— ალბათ, მე თუ დავიგვიანე პირველად და ხალხმა აღარ მოიცადა და წავიდა. რა სულელი ვარ. როგორ ვერ წარმოვიდგინე, რომ ეს პროვინციაა და, ალბათ, ადრე უყვართ ძილი. მაგრამ ეს ვირი, ეს კლუბის გამგე სად გადაიკარგა—გაიფიქრა ადამსკიმ და სასტუმროსკენ გაემართა.

თავის ნომერში შევიდა და ბრაზმორეულმა სულ ტაკა-ტაკუცით დაუწყო ფურცვლა ჟურნალ „თეატრს“, თუმცა კითხვით სულაც არ კითხულობდა, მას თავისი მოგზაურობის გეგმის ჩაშლა აბრაზებდა. ხვალ ღამისთვის აქ დარჩენა მისთვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი, რადგან სწორედ ხვალ საღამოს უნდა ემღერა ფოთში. იქ იყო მისი თანამეცხედრე, რომელმაც, ალბათ, ბილეთებიც კი დაჰყიდა.

ახლა ამ პატარა ბინძურ ქალაქში ტყუილაუბრალოდ ღამის გათევა სრულიად არ ეხალისებოდა და ათასგვარად სწყევლიდა თავის თავს, რომ დაუჯერა ქუთაისის კლუბის გამგეს (ალბათ, ახალ-სენაკელი იყო ის ყმაწვილი) და აქ ჩამოხტა. ან რათ ეჭირვებოდა ახალ-სენაკში აღებული ოთხასი მანეთი. ამ ფასად მარტო ამ სასტუმროში არ გაათევს კაცი ღამეს. ამდენი ბაღლინჯო და რწყილები მას არსად არ უნახავს. განგებ ხომ არ შეუსივეს ეს წყეული „მზეცები“. ერთ ხუთიოდე გირვანქას მაინც დაიკლებს ამაღამ ამ წყეულ სასტუმროში. ან ეს რა უბედურებაა ასეთ მყრალ სუნს რომ აყენებს ამ ოთახში. რასაკვირველია პირის საბანი ვედროდან ძველის ძველი პირისნაბანი წყალი და შარდი ამოყარს. ფუჰ!

უეცრად ორთქლმავალის კვილი და მატარებლის გუგუნი შემოესმა.

ჰა! ეს რა არის?

ფანჯარასთან მივარდა და დაინახა, რომ სემაფორთან ჩამოიქროლა ფოთისაკენ მიმავალმა მატარებელმა.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სწრაფად დაავლო თავის ბარგს ხელი, ჩემოდანი შეკრა, ფუსფუსით ჩაიწყო ჯიბეებში ჟურნალ-გაზეთები, დერეფანში გამოვარდა და გამგეს დაუწყო ძებნა.

— გამგე—იყვირა მან დერეფანში—გამგე! სად არის გამგე.

გამგე არსად ჩნდა.

ძირს ჩამოირბინა, ქუჩაში გაიხედა და ისევ გასძახა დაცარიელებულ ქუჩას.

— გამგე! ამხანაგო გამგე! სად ჯანაბაში წავიდა ის იდიოტი ისა?

საიდანღაც პატარა ბიჭუნა გამოხტა და წინ აეტუზა.

— რა გინდა, ძია, ვის ეძახი?

— წადი, გამგეს დამიძახე, ჩქარა! ჰა, შენ მანეთიანი.

ბიჭი სადგურისკენ გაიქცა.

— უთხარი პასპორტი მინდა თქო—მიაძახა მან პატარა ბიჭუნას, რომელიც ჯისრისტენით გარბოდა.

ოღბლათ, რამდენიმე წუთის შემდეგ, მოირბინა გამგემ.

— ჩქარა, პასპორტი მომეცი, მატარებელმა არ გამასწროს.

გამგემ დინჯათ გააღო ოთახი, ელექტრო ლამპა აანთო და აუჩქარებლათ შეუდგა პასპორტის ძებნას.

— ჩქარა, თორემ დაგვიანდა—აჩქარებდა ადამსკი.

— ნუ გეშინიათ, მოასწრებთ—წყნარათ უთხრა გამგემ და პასპორტი გაუწოდა.

ადამსკიმ გამოგლიჯა ხელიდან პასპორტი და სირბილით გასწია სადგურისაკენ.

როდესაც სადგურის მოლარე ბილეთს აკომპოსტერებდა, უკვე მეორე ზარი დაკრეს და ობერმაც ჩაბერა სასტვენში.

აჩქარებულად გაარღვია სადგურის ბაქანზე დაზღვევებული ხალხი და კიდევაც შედგა ფეხი ვაგონის საფეხურზე, რომ მატარებელი დაიძრა.

ვაგონში შესვლისთანავე კუპეში შედგა თავისი ჩემოდანი და თავისუფლად ამოისუნთქა.

ფანჯრიდან გახედა სადგურს.

ამდენი ხალხი, ასეთ პატარა პროვინციულ სადგურზე თავშეყრილი მას არასოდეს არ ენახა.

მატარებელი ნელი აჩქარებით გაცილდა სადგურს და ადამსკი შევიდა თავის კუპეში.

●

კლუბის გამგემ მოლარეს მოკრა თვალი, რომელიც კეკლუცად ნაბავდა თვალებს და არხეინად მუსაიფობდა ყმაწვილებთან ერთად.

გაბრაზებულმა მიაძახა:

— რას აკეთებ, ბოშო აქ. წადი ჩქარა კლუბში ბილეთებს გაყიდვა უნდა.

— რა გეჩქარება შე კაცო—შეესიტყვა მოლარე.

— რავა რა მეჩქარება ბოშ! თორმეტის ნახევარია ვერ ხედავ. ორი საათით დაიგვიანა მატარებელმა.

მოლარემ ლოყაზე იტკიცა ხელი.

— რას მელაპარაკები ბოშ!

— წადი ჩქარა. ხალხი უკვე მიდის კლუბისკენ. როდისღა მოვასწრებთ ბილეთების გაყიდვას? ჩქარა!

მოლარე აჩქარებული ნაბიჯით წავიდა კლუბისაკენ.

კლუბის გამგე ვიღაც ჭაღარა წვეროსანმა შეაჩერა და ჰკითხა:

— ამაღამ არის რამე, ბოშო, შენთან?

— კი! ზნამენიტი ტენორ ადამსკი.

აჭა-იქ გადილაპარაკეს.

— წავიდეთ თეატრში?

— აუცილებლათ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ვნახოთ ის ვიღაც ადამსკია თუ ჩამადანსკი.

ხალხი ნელ-ნელა დაიძრა.

მოლარე ძლივს ასწრებდა ბილეთების გაყიდვას. ხალხი თანდათან ეპატებოდა და სრულ თორმეტ საათზე სალაროში აღარ იყო აღარც ერთი ბილეთი. ცოტა შეგვიანებით მოსულმა კლუბის გამგემ სალაროში შეიხედა და იკითხა:

— როგორაა საქმე?

— აღარც ერთი ბილეთი არ დარჩენილა.

სალაროსთან კიდევ აუარება ხალხი იდგა და ბილეთს თხოულობდა.

— გაყიდე შესასვლელი ბილეთები თითო მანეთად—სწრაფად მოისაზრა გამგემ.

მოლარემ სწრაფად დახია პატარა ოთხკუთხ ნაკეცებათ რამდენიმე ფურცელი ქაღალდი და ზედ კლუბის ბეჭდის დასმით მისცა მათ მანეთიანი ბილეთის მნიშვნელობა.

თეატრის დარბაზი ისე გაიჭედა, რომ შიგ ფეხის დასადგმელი ალაგიც არ იყო.

ჰაერი უცბათ დაიხუთა, გახურდა და ამას თან დაერთო პაპიროსის ბოლი, რადგან ყველანი დაურიდებლად ეწეოდენ პაპიროსს.

ხალხს ლოდინი მობეზრდა და ნელ-ნელა დაიწყეს კანტი-კუნტი ტაშისკვრა და თან რატომღაც რუსულად გაიძახოდენ:

— ვრემია, ვრემია...

ბოლოს კანტი-კუნტი ტაში ნელ-ნელა მოეფინა მთელ დარბაზს. ტაში აგრიალდა, ზედ ფეხების ბარტყუნიც დაერთო, მაგრამ ფარდა სრულიადაც არ ირხეოდა.

კლუბის გამგე გზააბნეულ თხასავით ეხეთქებოდა აქეთ-იქით და ბოლოს სასტუმროსკენ მოუსვა.

— რა მოუვიდა იმ ოჯახჭორს?—ფიქრობდა გამწარებული კლუბის გამგე—ავად ხომ არ გახდა?

სწრაფად აირბინა სასტუმროს მეორე სართულში და სასტუმროს კანტორის კარებს დაუწყო ბრახუნი.

მთელ სასტუმროში ერთი კაციც ვერ ნახა.

შემდეგ გამგის ბინაზე გაიქცა და გაცეცხლებულმა სულ ბაგაბუგით დაუწყო მუშტის ცემა კარებს.

სასტუმროს გამგის ავადმყოფი ცოლი შეშინებული ფიცხლავ წამოიჭრა ხეზე და საცვლების ამარა გარეთ გამოვარდა.

— რა მოხდა, რა ამბავია—იკითხა შიშით გულგახეთქილმა ქალმა.

— სადაა ნესტორი?

— თეატრში წამოვიდა. რა მოხდა მითხარი, შენი ჭირიმე.

კლუბის გამგე უსიტყვოთ შებრუნდა და ისევ თავის ხელოვნების ტაძრისკენ მოუსვა.

დარბაზში ისევ გრიალებდა ტაში და ისევ აბრახუნებდენ ფეხებს.

გამგემ გაარღვია ხალხი და ყველას გასაგონათ, რომ ტაშის ხმა დაეფარა, იყვირა:

— ნესტორ ბუკია ხომ არაა აქ?

ტაში ნელა მიწყნარდა, აქა-იქ კიდევ ისმოდა კანტი-კუნტათ. ხალხმა უკან მიიხედა.

— ნესტორ ბუკია სადაა?

ნესტორ, ნესტორ,—მიეძველნენ ზოგიერთები კლუბის გამგეს და იქით-აქეთ მიმოიხედეს.

ნესტორი ქანდარის პირველ რიგში იჯდა და თავგამოდებით ატყაპუნებდა ხელებს. ნესტორს ხელი სტაცეს და ძირს ჩაახედეს.

— ნესტორ, გიძახიან!

კლუბის გამგემ ხალხი გაარღვია და ზევით აიხედა.

ხალხი აიშალა და დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნესტორ—გასძახა კლუბის გამგემ.

— აქა ვარ.

— ნესტორ, დღეს რო მომღერალი ჩამოვიდა, სადაა თუ იცი?

ხალხი უცბათ ახმაურდა. გამგემ ნესტორის პასუხი ვერ გაიგონა და ხალხს უყვირა:

— გაჩუმდით რა გაყვირებთ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰა! სადაა?

— ის მომღერალი იყო?—იკითხა ნესტორმა.

— ჰო, კაცო. სადაა თქვი.

— აბა, ძმაო იმან იცადა, იცადა და ჭ წავიდა ამ საღამოს მატარებლით ფოთში. ყველა სახტად დარჩა.

ლიტ. გაზეთი

მეგობრული შარჟი
მხატვარ ს. ნადარეიშვილის

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ

ზომლეთელი ქურიძე ხარ,
ზომლეთშია ნოეს ქურაც,—
ხარ ეულის ნათესავი
იმღერი კი აკაკურად!

ხუმარადაც ვარგებულხარ
შაირობის მსურველიო,
მაგრამ, ვერ იქმ წერეთლობას
თუმც მის ადგილს სულ ელიო.

კუჩხა ბედნიერი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ საბჭოთა მწერლების კავშირის ორგკომიტეტის ინტერნაციონალურ კომისიასთან ერთად გამოსცა თავისი სერიის მეშვიდეშვიდე სპეციალური ნუმერი - რვიული (Die literatur in der Sovjetunion). სადაც სხვათა შორის მოთავსებულია: ნაწყვეტი ლეო ქიაჩელის მოთხრობის „კაპიტან შიდტიდან“, დღევანდელი ევროპული მწერლობის მიმოხილვა შ. დუდუჩავასი, ს. ამაღლობელის ნაწერი და სხვა.

წიგნი გამოცემულია ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

მწერალთა საკავშირო ჟრილობის შედეგები დასამუშავებლად საბჭოთა მწერლების კავშირმა მიავლინა: დ. დემეტრაძე, კ. ლორთქიფანიძე და პ. იაშვილი—ზესტაფონსა და ქუთაისში, ე. აბაშიძე და ს. შანშიაშვილი—ლაგოდეხში, პან. ჩხიკვაძე, სიმ. ჩიქოვანი და ტიციან ტაბიძე — ბათომში, ბ. ეღენტი, ნ. მიწიშვილი და დ. შენგელაია ხაშურსა და ჭიათურაში, ბ. ბუაჩიძე და ლ. ქიაჩელი — სტალინირში, შვილი (რედაქტორი), გალაქტიონ ტაბიძე, დემნა შენგელაია, ტიციან ტაბიძე, პან. ჩხიკვაძე, ლეო ქიაჩელი,, ნოე ზომლეთელი, გ. მუშიშვილი. ლევ. ასათიანი, შ. რადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ირაკლი აბაშიძე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ მოკლე ხანში სცემს „თანამედროვე რუსული პოეზიის კრებულს“. კრებულში მოთავსებული იქნება რჩეული ლექსები და პოემები ყველა თანამედროვე გამოჩენილი რუსი პოეტისა ბლოკიდან და ბრუსოვიდან უკანასკნელი ხანის პოეტებამდე.

კრებული გამოვა სიმონ ჩიქოვანის და ტიციან ტაბიძის რედაქტორობით და ამხ. გიორგი ყურულაშვილის საერთო რედაქციით.

თარგმანების შესასრულებლად მოწვეულია საუკეთესო მთარგმნელები და პოეტები.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში ტექნიკური დაუდევრობის გამო გერონტი ქიქოძის წერილში გაიპარა შეცდომა. მესამე სვეტში სიტყვა კოლმეურნეობა ჩასმული უნდა იყოს წინწკლებში.

ᲛᲝᲯᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲗᲔᲑᲘ

Ა. ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔ

ძნელია ჩემთვის რისამე თქმა ტფილისში ახლახან ჩატარებულ ტურნირის შესახებ. ძნელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ მე მომიხდება ყველა მონაწილეთა ძალისა და თამაშის კლასის დახასიათება, ეს კი ჩემთვის უხერხულია და სახიფათო, ვინ იცის, დამწამონ არა ობიექტურობა, რაც დიდად გასაკვირი არ იქნება, რადგან ბრძოლა, რომელიც ამ ერთი კვირის წინ საჭადრაკო დაფაზე წარმოებდა, ჯერ ისევ დაუმთავრებელია და ალბათ ყველა მონაწილე ისევ განაგრძობს თამაშს უდაფოთ და უპარტნიოროთ. ასე მძლავრია ის შინაგანი დაძაბულობა, რაც თავს იჩენს ხოლმე მოჭადრაკეებში შეჯიბრის დროს.

ტურნირის შედეგები მოწმობენ, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გაიმარჯვა გოგლიძემ, ტფილისის საჭადრაკო სიამაყემ და სიყვარულმა, ეს გარემოება არავის უკვირს. ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობაც მოელოდა ამას.

ყველა გრძნობდა პირველი ადგილის უეჭველ კანდიდატს. ეს მოლოდინი გამართლდა, გაიმარჯვა რეალურმა, სადამ, მარტივმა და დინჯმა ძალამ. გაუგებარი თავბრუდამხვევი კომბინაციები და გამოუხსნელი ხლართები არ იცის გოგლიძემ. მას თავისებური კომბინაცია აქვს, რომელიც თვალის ერთი გადავლებით შეუმჩნეველია. ეს არის უკეთესი პოზიციის დაკავება, რომელსაც ის თანდათანობით ამაგრებს და ბოლოს გამარჯვებით აგვირგვინებს.

უყოყოჩო და უხმაუროა გოგლიძის აქტიური სვლები თამაშში. რასაც მისი მოწინააღმდეგები ხშირად ვერ გრძნობენ და რაც თავის ნამდვილ სახეს ამჟღავნებს პარტიის დამთავრების შემდეგ. ასე ძლიერია მშვიდი და ჯანსაღი ბრძოლის ხერხები.

მეორე პრიზიორი ვლადიმერ მაკაგონოვი კეთილშობილი ადამიანი, ყოველთვის უწყინარი. თითქმის პარტიებს იგებს შემთხვევით. სინამდვილეში მშვიდი პარტიების საინტერესო და დიდი ოსტატი. არც ერთი ბუნდოვანი სვლა. ყველა ნათელია და გასაგები, მაგრამ ძნელად დასაძლევი.

ჰანს კმოხი დებრეჩინის საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორია. ჩვენთან ჩამოსვლის დროს თან ჩამოიტანა საჭადრაკო ბრძოლის დიდი ევროპული გამოცდილება, მაგრამ როგორც საზოგადოდ საბჭოთა კავშირის, ისე ტფილისის აგალგაზრდა სწრაფმზარდმა ძალებმა დაანახვა მას თუ რა მომავალი აქვს რევოლუციური ქვეყნის რევოლუციონურ სპორტიულ შემოქმედებასაც.

შეჯიბრებაში მის მიერ დაჭერილი ადგილი სავსებით შეეფერება მისი თამაშის კლასს.

შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა ალბათ უკმაყოფილოა მის მიერ მიღწეული შედეგებით, რადგან ყოველი მათგანი მეტს მოითხოვდენ და მოელოდენ თავის თავისაგან. ასეთი პრეტენზიები ყველაზე მეტად ეპატიება ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკე თეორეტიკოსს რაუზერს, რომელსაც უეჭველად მეტის მიღწევა შეეძლო. იგი მთელ თამაშს ატარებს თავის გამოკვლევების და აღმოჩენების საფუძველზე, მაგრამ ამასვე უნდა მიეწეროს მისი, ასე ვთქვათ, დამარცხებაც. მდიდარ გამოკვლევებს ის ხშირად სწორ გაგრძელებას ვერ ურჩევს, რაც აიხსნება გამოკვლეულის არა საკმაო დამუშავებით. მიუხედავად ამისა ამ გამოკვლევებს უთუოდ დიდი მომავალი აქვს.

თუ ჭადრაკი მოთამაშეს თავის თავზე გაზვიადებულ წარმოდგენას უქმნის, მაშინ უკმაყოფილოთა რიცხვს უეჭველად რაგოზინიც ეკუთვნის, რომელსაც ტფილისში ბედმა არ გაუღიმა. წაართვეს ლენინგრადელ ოსტატს პირველი-მეორე ადგილი. ჩვენ რომ გვკითხონ—სრულიად სამართლიანად.

დაუმსახურებლივ არ მოუპოვია ოსტატის სახელი ვერესოვს. მიაღწია მან ამას მისი გაბედული თამაშის წყალობით. მაგრამ სწორედ ამ გამბედაობის ბრალია, რომ მისი ბედი ბეწვზე ეკიდა და ყაიმების მტერი უკანასკნელ ტურში ყაიმს ნატრობდა.

,,მე ამაყი კაცი არა ვარ,—ეთამაშობ ყაიმზე და თუ ვინმე ამიგდებს აბუჩად, მოვუგებ პატიას“—ასე ამბობდა მაესტრო სელეზნიევი, რაც ნაწილობრივ მაინც გაამართლა. მაგრამ ყაიმებით მას მაინც მიხვილ მაკაგანოვმა გადააჭარბა.

დიდი ხნის გამოცდილ მაესტროს ავანტიურა არ უყვარს და ამიტომაც მან თავისი ადგილი მისი ხასიათის მიხედვით დაიკავა.

დანარჩენ მონაწილე სტუმრებს, სახელდობრ კირილოვსა, სილჩსა და კონსტანტინოპოლსკის შორის,--ყველაზე მეტს ამ უკანასკნელისაგან მოველოდით. მაგრამ მიუხედავათ მისი მოხდენილი თამაშისა ამ შემთხვევაში ჩვენი აზრი არ გამართლდა. შემთხვევითობას ასე თუ ისე ყოველთვის აქვს ადგილი და შეიძლება ამ ტურნირსაც უამისოდ არ ჩაუვლია.

აღსანიშნავია დებიუტების უცოდინარი, მაგრან მტკიცე და შეუპოვარი კასპარიანი, რომელიც მთელ შეჯიბრების განმავლობაში თავის სკამს არ მოსცილებია. მის ღირსებაზე, როგორც მოჭადრაკეზე ლაპარაკობს მის მიერ სელეზნიოვთან დიდი ოსტატობით ჩატარებული ენდშპილი.

უკანასკნელ ადგილსაც თავის შესაფერი კანდიდატი აღმოაჩნდა. ეს ბედი შეჯიბრებაში წილად ხვდა მაესტრო სოროკინს.

საზოგადოდ ამ ტურნირის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ მან მოსალოდნელზე მეტი ყურადღება მიიქცია საზოგადოების, რაც უეჭველად გაზრდის ფართო მასების ჭადრაკისადმი მისწრაფებას.

ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ „ᲚᲘᲢ. ᲒᲐᲖ.“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ

„ლიტ. გაზეთის“ რედაქცია მუშაობს ყოველ დღე (გარდა გამოსასვლელისა) დილის 9 საათიდან 4 ს-მდე და საღ. 8-დან 10-მდე. მიღება მხოლოდ 2—4-მდე (მაჩაბელის ქ. № 13, მწერალთა სასახლე). რედაქციის წევრებს შორის დაწესებულია მორიგეობა. რედაქციის ყოველი მორიგი წევრი მორიგეობის მომენტში ასრულებს რედაქტორის თანაშემწის ფუნქციებს. რედაქციის წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები: **ი. გრიშაშვილი**—ლიტერატურული მემკვიდრეობა, **პაოლო იაშვილი**—პოეზია, სპორტი, ჭადრაკი. **ა. მაშაშვილი**—თეატრი, **ნ. მიწიშვილი**—პუბლიცისტიკა, **ს. ჩიქოვანი**—პოეზია, მხატვრობა, **პ. ჩხიკვაძე**—მხატვრული პროზა, კინო. რედ. წევრების გარდა: სტილისტი-რედაქტორი—**ვუკ. ბერიძე**, მხატვარი—**ს. კეცხოველი**, იუმორი და სატირა—**ს. კლდიაშვილი, კ. კალაძე**; თარგმანები—**ვ. გაფრინდაშვილი, დ. გაჩეჩილაძე**, მასიური სექტორი—**ნ. ჩაჩავა**. ლიტ. ცხოვრება—**ვ. წულუკიძე**, კორექტორები: **ს. ხვიჩია, ჩ. გაბესკირია**.

რედაქტორი:
პლატონ ძიძოძე
რედ. ტელეფონი 3-47-10.

რედაქციის მდივანი:
ნიკოლოზ ჩაჩავა
გამომცემელი „ლიტ. გაზეთის“ გამომც-ბა

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ...

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ ᲡᲐᲪᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 1 Მ. 50 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘ“ № 7—8

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

პაოლო იაშვილი—დილა (ლექსი), მწვერვალებიდან (ლექსი). **გიორგი კაჭახიძე**—აივნიანი სახლი (ლექსი). **ვარლამ რუხაძე**—არქტიკის გმირებს (ლექსი). **კ. გამსახურდია**—მთვარის მოტაცება (რომანი), **გ. ლეონიძე**—ტფილისის განთიადები (ლექსები). **ს. ჩანბა**—სეიდიყი (მოთხრობა). **კ. ბობოხიძე**—სიყვარული (ლექსი). **ე. ქართველიშვილი**—ნოველები. **ნ. ზომლეთელი**—დომნა (პოემიდან). **ე. პოლუმორდვინოვი**—იღვიძებენ მთები (მოთხრობა). **ედგარ ალლან პო**—ზარები (ლექსი თარგ. ინგლისურიდან **გ. გაჩეჩილაძის**).

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ—**ს. ფაშალიშვილი**—უდაბნო.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ—**ჭ. ლომთათიძე**—დღიური.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

მალაქია ტოროშელიძე—ქართული ლიტერატურა (მოხსენება რწერალთა საკავშირო ყრილობაზე). **გ. ნატროშვილი**—დემნა შენგელაია.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

იოსებ მეგრელიძე—საიათნოვას უცნობი ლექსები და ცნობილზე შენიშვნები.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

გ. ნატროშვილი—**ს. კლდიაშვილი**. მთთხრობები.
ვახტანგ ბერიძე—ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“.
ალექსანდრე ბარამიძე—ლევან ასათიანი „ვოლტერიანობა საქართველოში“.

მთავლიტის რწმუნებული № 8352. ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3. დაკვ. № 1065.